საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჭმინდა საქმეში, რომელიც ბოქდ-ვეული სიფცვაა, ფაფიოებით და ჯიბეებით ბეჭ-თის გაფანა ყველა უკიდურესობაზე უსამაგალოსია.

პარასკევი, 22 სექტემბერი. 2017 წ. №194 (8331), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.



პატრიარქი: დღეს რთული დროა, მრავალთა ინტერესი იკვეთება ჩვენს პატარა სამშობლოსთან მიმართებით...

საქართველოს საპატრიარქომ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის განცხადება გაავრცელა.

როგორც პატრიარქის მიმართვაშია ნათქვამი, ეკლესიის წინააღმდეგ ბოლო პერიოდში განვითარებულმა მოვლენებმა საქართველოს გარეთ მცხოვრებლები გაანაწყენა.

„სამწუხაროა, რომ ეკლესიის წინააღმდეგ ბოლო დროს განვითარებული მოვლენები მტკივნეულად შეეხო ჩვენი ქვეყნის გარეთ მცხოვრებ ქართველებსაც და მათი განაწყენება გამოიწვია.

ლაზებო, ფერეიდნელებო, ტაო-კლარჯელნო, ჰერნო, საქართველოს ავბედობის გამო სამშობლოს მოწყვეტილნო საყვარელო ჩვენო ყოველნო შვილნო, არ დაგაბრკოლოთ ზოგიერთთა ზიანის მომტანმა ქმედებებმა; დრო გავა და, იმედი გვაქვს, ისინიც შეინანებენ თავის საქციელს; თქვენ კი გახსოვდეთ: საქართველოსა და საქართველოს ეკლესიას უყვარხართ, სადაც არ უნდა იყოთ, თავისად მიაჩნიხართ, გული დიდად შესტკივა თქვენზე და ყოველთვის ეყოლებით მფარველობის ქვეშ.

დღეს რთული დროა, მრავალთა ინტერესი იკვეთება ჩვენს პატარა სამშობლოსთან მიმართებაში; პრობლემების უმრავლესობაც აქედან მოდის; მაგრამ ღმერთი დიდია და იგი თქვენც და ჩვენც მოგვცემს ძალას დაბრკოლებების გადასალახავად.

თქვენ ყველას და სრულიად საქართველოს გულითადად გილოცავთ ღვთისმშობლის შობის დღეს; ყოვლადწმინდა მარიამის მფარველობა არ მოგაკლდეთ მისი წილხვედრი ქვეყნის შვილებს.

სიყვარულით თქვენთვის მლოცველი“ ილია II“, – ნათქვამია პატრიარქის განცხადებაში.

გიორგი ანდრიაძე: პრეზიდენტი ჩვენი მტრების მფარველია!

მეცნიერებისთვის შეწირული ცხოვრება

მარიამ ლორთქიფანიძე და ოთარ ჯაფარიძე – 95

მეგობრობა გზად და ხიდად

ქალბატონ მარიამ ლორთქიფანიძეს ბატონ ოთარ ჯაფარიძეს

გულითადად გილოცავთ დაბადების საიუბილეო თარიღს. თქვენ ჩვენი სამშობლოს წარსულს მისი ტკივილით, ღირსებითა და უღირსებით ცხოვლად დაატარებთ და სამშობლოს აწმყოსა და მყოფადის დარაჯად დგახართ.

გვეიმედებით!

ქვეყანას დღესაც მრავალმხრივი პრობლემები აქვს და ეროვნული მეობის გადარჩენისათვის ბრძოლაში მას თქვენ და თქვენსავით გონიერი, ერთგული ადამიანები დიდად სჭირდება.

ღმერთმა დაგლოცოთ, გაგაძლიეროთ, გაგახაროთ და მოგცეთ ძალა საქართველოს საკეთილდღეოდ კვლავაც დაუღალავი მუშაკობისა.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

თემის გაგრძელება იხილეთ 6-7 გვერდზე

კახა კალაძემ საარჩევნო სია წარადგინა

„ქართული ოცნების“ დედაქალაქის მერობის მთავარმა კანდიდატმა კახა კალაძემ საარჩევნო სია წარადგინა. კერძოდ, სიაში პირველი ნომერია მარიკა დარჩია, პირველ ათეულშია თბილისის საკრებულოს მოქმედი თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილიც.

საარჩევნო სიის პირველი ათეული ასეთია: **მარიკა დარჩია; ბექა დავითულიანი; თინათინ ნიბლოშვილი; ირაკლი ზარქუა; დათო რურუა; გიორგი ჩაკვეტაძე; დავით უჯმაჯურიძე; გიორგი ახვლედიანი; ლევან ჯაფარიძე; გიორგი ალიბეგაშვილი; თევდორე ისაკაძე; ლევან დარახველიძე; ერეკლე კუხიანიძე; ანა ლაშხი; ლევან არველაძე; ლევან ჟორჟოლიანი; ნინო რუხაძე; მიხეილ მესხი; ბორის ფირცხელიანი; გიორგი კიკნაველიძე; ბექა სივსივაძე; მამუკა ხაბარელი; ირაკლი ქუთათელაძე; ლევან ფიფია; მარიამ კანდელაკი; მარიამ თოდუა; თამარ მიხანაშვილი; ანი ჭანუყვაძე; ნიკა ელისაშვილი; ნონა მჭედლიძე; თორნიკე ნადირაშვილი; გიორგი ლომსაძე; სანდრო მიქაუტაძე.**

„ქართული ოცნების“ საარჩევნო სიაში 33 კაცია.

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები 21 ოქტომბერს გაიმართება.

საქართველოში ბიუჯეტის ჭამა-ყლაპვა გრძელდება!

ყვავს რა ჰქონდა, ბუს გაჰქონდა...

4

ომარ მარგველაშვილი: არაფერი ეშველება ქვეყანას, სადაც ერთი თაობის მიერ შექმნილს მეორე მიწასთან ასწორებს

3

ცხინვალის „დიდი მეგობარი“, იტალიელი კიეზა ოსებს მორიგ ხმამაღალ დაპირებებს აძლევს

5

პროპორციული სისტემა 2024 წელს ბონუსის გარეშე ამოქმედდება

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ირაკლი კობახიძის განცხადებით, პროპორციული სისტემა 2024 წელს ბონუსის გარეშე ამოქმედდება, 2020 წელს კი ბლოკები ერთჯერადად დარჩება.

მისივე განმარტებით, მმართველი გუნდი შეჯერდა ორ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც საქართველოს კონსტიტუციაში აისახება:

1. ერთჯერადად, მომდევნო საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის უფლება პოლიტიკურ პარტიებთან ერთად, საარჩევნო ბლოკებსაც მიენიჭებათ;

2. მომდევნო საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, პროპორციული საარჩევნო სისტემა ამოქმედდება ე.წ. ბონუსის გარეშე და მანდატები პროპორციულად განაწილდება ყველა იმ პარტიაზე, რომელიც არჩევნებში ხმათა ხუთ პროცენტზე მეტს მიიღებს, — ნათქვამია პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებაში.

კახა კალაძე თბილისში მცხოვრებ დევნილებს შეხვდა

დევნილებისთვის ბინების გადაცემა, რომელიც ამ ხელისუფლების პირობებში დაიწყო, მომავალშიც გაგრძელდება — ამის შესახებ „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ თბილისის მერობის კანდიდატმა კახა კალაძემ თბილისში მცხოვრებ დევნილებთან შეხვედრაზე განაცხადა.

„ეს იქნება თქვენი საკუთრება, მაგრამ მჯერა, რომ ეს იქნება დროებითი, რადგან ჩვენი სახლი არის აფხაზეთი და სამაჩაბლო. ჩვენ უნდა დავბრუნდეთ და დავუბრუნოთ ეს ტერიტორიები ჩვენს შვილებს, მომავალ თაობებს“, — აღნიშნა დევნილებთან საუბრისას თბილისის მერობის კანდიდატმა. კახა კალაძემ თბილისში



არსებული გამოწვევების შესახებაც ისაუბრა.

„ჩვენს შვილებს არ უნდა დავუმახინჯოთ ქალაქი. პირიქით, მათ უნდა შევუქმნათ ბევრი მწვანე სივრცე, ეკოლოგიურად სუფთა და, რაც მთავარია, ლამაზი, მოწესრიგებული ქალაქი. თბილისი არის განსაკუთრებული ქალაქი თავისი ისტორიით, კულტურით, ტრადიციებით და, რა თქმა უნდა, ამას ჩვენი მხრიდან მოვლა-პატრონობა და გაფრთხილება სჭირდება“, — აღნიშნა თბილისის მერობის კანდიდატმა.

შეხვედრაზე კახა კალაძემ მოსახლეობას ქალაქის განვითარების საკუთარი ხედვა გააცნო და ეკოლოგიური გაუმჯობესების, მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარების, მშენებლობის სტანდარტების დახვეწის, სოციალური და ეკონომიკური გამოწვევების დაძლევის გზებზე ესაუბრა. შეხვედრაზე, ასევე იმყოფებოდა, ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი სოზარ სუბარი, ვაკის მაჟორიტარობის კანდიდატი გიორგი მუსხელიშვილი და კახა კალაძის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი არჩილ თალაკვაძე.

თბილისის მერობის კანდიდატი შეხვედრებს განაგრძობს. კახა კალაძე თბილისის სხვადასხვა უბნებში მცხოვრებ მოსახლეობას ყოველდღიურ რეჟიმში ხვდება და მათ საჭიროებებს ადგილზე ეცნობა.

მიხეილ ჯანელიძე: დღეს საქართველო ღია მმართველობის მსოფლიო ავანგარდშია

„დღეს საქართველო არის მსოფლიოს ავანგარდში ღია და ტრანსპარენტული მმართველობის კუთხით. ჩვენ უკვე მეორე წელია, გაეროს გენერალური ასამბლეის ფარგლებში და გენერალური დებატების პარალელურად ვმართავთ მაღალი დონის სესიებს, რომელიც ეხება ღია მმართველობას. წელს ჩვენ ძალიან დიდი პასუხისმგებლობა ავიღეთ იმით, რომ გავხდით „ღია მმართველობის პარტნიორობის“ თავმჯდომარე ქვეყანა“, — ამის შესახებ განაცხადა საქართველოს ვიცე-პრემიერმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა მიხეილ ჯანელიძემ.

საგარეო უწყების ხელმძღვანელის შეფასებით „ღია მმართველობის პარტნიორობის“ თავმჯდომარეობა არის საქართველოს მიერ მიღწეული წარმატებების, ქვეყნის ღია მმართველობის და ელექტრონული მმართველობის კუთხით არსებული მნიშვნელოვანი პროგრესის ძალიან დიდი აღიარება.

როგორც მიხეილ ჯანელიძემ განაცხადა თავმჯდომარეობის პერიოდში საქართველო ფორუმის მონაწილე ქვეყნებს გაუზიარებს იმ გამოცდილებას, რაც დაგროვდა საქართველოში და ქვეყნის სახელმწიფო უწყებებში. მინისტრის თქმით, დაიგეგმება მომავალი ხედვები, რათა „ღია მმართველობის პარტნიორობის“ წევრ ქვეყნებში მმართველობა გახდეს კიდევ უფრო ღია და გამჭვირვალე. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ჟურნალისტებთან კომენტირებისას აგრეთვე საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობებზე ისაუბრა, რომელიც, მისი თქმით, უმაღლეს დონეზეა. მიხეილ ჯანელიძის განცხადებით, არსებობს მჭიდრო თანამშრომლობა ყველა მიმართულებით, მათ შორის მრავალმხრივ ფორმატში საერთო პოლიტიკის შემუშავების კუთხით. მან ისაუბრა გაერო-ს გენერალური ასამბლეის ფარგლებში საქართველოს პრემიერ-მინისტრსა და ევროკავშირის უმაღლეს წარმომადგენელს შორის გამართულ შეხვედრაზე.

დიმიტრი ქუმსიშვილი აზიის განვითარების ბანკის აღმასრულებელ დირექტორს მეთიუ ფოქსს შეხვდა

საქართველოს პირველი ვიცე-პრემიერი, ფინანსთა მინისტრი საქართველოს მხრიდან აზიის განვითარების ბანკში მმართველი დიმიტრი ქუმსიშვილი აზიის განვითარების ბანკში ავსტრალიის ჯგუფის აღმასრულებელ დირექტორს მეთიუ ფოქსს შეხვდა. შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს აზიის განვითარების ბანკის მიმდინარე და სამომავლო პროექტები საქართველოში. აღინიშნა, რომ აღნიშნული საფინანსო ორგანიზაცია არის ერთ-ერთი უმსხვილესი განვითარების პარტნიორი საქართველოსთვის, რომლის პორტფოლიო 2.1 მლრდ დოლარზე მეტია, მათ შორისაა კერძო სექტორის მხარდაჭერა და ტექნიკური მხარდაჭერა. პირველმა ვიცე-პრემიერმა დიმიტრი ქუმსიშვილმა აზიის განვითარების ბანკის აღმასრულებელ დირექტორს გააცნო საქართველოში არსებული ეკონომიკური ვითარება, მიაწოდა ინფორმაცია მთავრობის 4-პუნქტიანი რეფორმების გეგმისა და მიმდინარე და დაგეგმილი ეკონომიკური და სტრუქტურული რეფორმების შესახებ. ყურადღება გამახვილდა ბანკის საქმიანობის სტრატეგიაზე მომდევნო წლების განმავლობაში. აღინიშნა, რომ აზიის განვითარების ბანკის მიერ მხარდაჭერილი პროექტები სრულ თანხვედრაშია საქართველოში მიმდი-

ნარე რეფორმებთან, რაც მათ ეფექტიანობას მნიშვნელოვნად ზრდის. აზიის განვითარების ბანკის აღმასრულებელმა დირექტორმა ხაზი გაუსვა საქართველოსა და ბანკს შორის არსებული პარტნიორობის მნიშვნელობას. როგორც მეთიუ ფოქსმა აღნიშნა, ბანკი ხელს უწობს საქართველოს ისეთი პრიორიტეტული დარგების განვითარებას, როგორიცაა: ტრანსპორტი, წყალმომარაგება, ენერგეტიკის სფერო. **„აზიის განვითარების ბანკსა და საქართველოს შორის თანამშრომლობა არის ძალიან მყარი, რომელსაც პოზიტიური სამომავლო პერსპექტივები გააჩნია,“** — განაცხადა აზიის განვითარების ბანკის აღმასრულებელმა დირექტორმა.

გიორგი ანდრიაძე: პრეზიდენტი ჩვენი მტრების მფარველია!

საპატრიარქოს უნივერსიტეტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე გიორგი ანდრიაძე პარლამენტის თავმჯდომარეს და საპარლამენტო უმრავლესობას ღია წერილით მიმართავს, სადაც ის საქართველოს პრეზიდენტს „საქართველოს ერთიანობის მტრების — თურქეთის მოქალაქეებისთვის“ საქართველოს ორმაგი მოქალაქეობის მინიჭებაში ადანაშაულებს და პარლამენტს შესაბამისი ინფორმაციის გამოთხოვას სთხოვს.

„სამწუხაროდ, იძულებული გავხდი მომემართა თქვენთვის, ვინაიდან ამოვწურე ყველა კანონიერი მცდელობა, ინფორმაცია მიმეღო საქართველოს პრეზიდენტის მიერ ორმაგი მოქალაქეობის მინიჭების ბრძანებულების შესახებ.

საქმე ეხება 2016 ან 2017 წლებში პრეზიდენტ მარგველაშვილის მიერ თურქეთის მოქალაქის მიმართ მიღებულ გადაწყვეტილებას საქართველოს წინაშე გაწეული ღვაწლისათვის ორმაგი მოქალაქეობის მინიჭების შესახებ.

გთხოვთ, გამოითხოვოთ იმ პიროვნებების მონაცემები, ვისაც ამ პერიოდში ორმაგი მოქალაქის სტატუსი მიენიჭა. ვინაიდან ჩემი ინფორმაციით, მათ შორის არის საქართველოს ერთიანობის ღია და აშკარა მტერი, რომელიც დღემდე აცხადებს, რომ ლაზი და მეგრელი იდენტობით ქართველი არ არის და ამით ხელს უწყობს ჩვენი სახელმწიფოსა და ქართველი ერის დაშლასა და ურთიერთდაპირისპირებას. სწორედ ასეთ პიროვნებას მიანიჭა პრეზიდენტმა მარგველაშვილმა ორმაგი მოქალაქეობა.

გთხოვთ, გაასაჯაროვოთ იმ ადამიანების სახელები და გვარები, რომელთაც 2016-2017 წლებში მარგველაშვილისგან მიიღეს საქართველოს მოქალაქეობა. ყოველივე ამას გთხოვთ თქვენ იმიტომ, რომ სწორედ „ქართული ოცნების“ მიერ იქნა შეთავაზებული მოქალაქე მარგველაშვილის კანდიდატურა საქართველოს პრეზიდენტის პოსტზე და ქართველმა ერმა მხოლოდ და მხოლოდ თქვენდამი ნდობის გამო მისცა მას ხმა. სამწუხაროდ, რეალობაა ის, რომ ქართველი ერი ხმას მისცემდა ყველას, ვისაც თქვენ დაასახელებდით, მათ შორის პინგვინსაც კი. ამიტომ პოლიტიკური და ზნეობრივი პასუხისმგებლობა სწორედ საპარლამენტო უმრავლესობაზეა ე.წ პრეზიდენტ მარგველაშვილის მიერ განხორციელებულ ქმედებებზე. მათ შორის საქართველოს პატრიოტი ლაზებისათვის მოქალაქეობაზე უარის თქმაზე და საქართველოს ერთიანობის მტრების — თურქეთის მოქალაქეებისათვის — საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებაზე.

როგორც საქართველოს მოქალაქე, მოვითხოვ თქვენგან, გაასაჯაროვეთ თქვენ მიერ დასმული ე.წ პრეზიდენტ მარგველაშვილის გადაწყვეტილებები საქართველოს ორმაგი მოქალაქეობის მინიჭების შესახებ“, — ნათქვამია ღია წერილში, თუმცა ანდრიაძე „საქართველოს ერთიანობის მტრების“ ვინაობას, რომლებსაც მარგველაშვილმა ორმაგი მოქალაქეობა მიანიჭა, არ აკონკრეტებს.

არაფერი ეშველება ქვეყანას, სადაც ერთი თაობის მიერ შექმნილს, მეორე მიწასთან ასწორებს

უნალექო ამინდებმა შესაბამისი შედეგი მოიტანა – ხშირი ხანძრების სახით. დღე ისე არ ჩაივლის, მედიამ არ გვამცნოს ახალი ხანძრის კერის გაჩენის თაობაზე. სამწუხაროდ, ამ თვალსაზრისით არც მსოფლიო იყო დამშვიდებული.

კლიმატის პროგნოზებს თუ დავეყრდნობით, სავარაუდოა, რომ მომავალი წლების განმავლობაში ხანძრების მასშტაბები გაიზრდება. თუ რადიკალური ზომები არ იქნა მიღებული, განადგურდება ჩვენი უნიკალური ეკოსისტემა.

ხანძართან ბრძოლამ გამოავლინა ნაკლოვანებები, რომელთა გადაუჭრელად გაჭირდება ცეცხლთან ბრძოლა. გადასახედია ყველაფერი – მეხანძრეთა ეკიპირებიდან დაწყებული, წვრთნა-ვარჯიშით გაგრძელებული და შესაბამისი ტექნიკური აღჭურვით დამთავრებული.

ჩვენ, უნიათონი და უსუსურნი, იმასაც ვერ ვახერხებთ, რომ შევინარჩუნოთ და გავამრავლოთ ყველაზე დიდი სიმდიდრე – მრავალწლიანი ულამაზესი ტყეები. ტყეები იწვის, გულისშემზარავად ნადგურდება, ჩვენ კი რუსეთს, რომელსაც ამ საქმეში დიდი გამოცდილება და აღჭურვაც ჩვენზე ბევრად უკეთესი აქვს, უანგარო დახმარებაზე უარი ვუთხარით, განა ამ ქმედებას (უფრო უმოქმედობას) რაიმე გამართლება აქვს.

მავანი უმალ იტყვის – რუსეთი ჩვენი მტერია, ოკუპანტი, აგრესორი და მასთან ჩვენ დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვეტილი გვაქვსო. მერედა, რატომ გვაქვს დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვეტილი?

კითხვაზე კითხვით ვუპასუხებ, ბნედიანი სააკაშვილის გამო?! საკაშვილი არ მოგვწონს, მით უმეტეს, მისი 9-წლიანი მმართველობა. ამ პერიოდს ლამის ფაშიზმად მოვიხსენიებთ და ამ დროს შესანიშნავად ვიტანთ მის მიერ ანტისახელმწიფოებრივ ნაბიჯებს, მათ შორის რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტას.

ესეც ხომ ველოსიპედის ძეგლი არ არის ან ძველ ქალაქში გადებული ორი „ტრუბა“, სხვა მრავალი საძაგლობა, რომლებსაც ისე შევეგუეთ, თითქოს ხელოვნების შედევრები იყოს. ისეთი გრძნობა მიჩნდება, თითქოს ამ იდეების მთავარ შემოქმედს ველით და ვუნახავთ მის გასახარად.

დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა-არააღდგენა სულაც არ ნიშნავს მოჭარბებულ სიყვარულს. ეს აუცილობლობაა, მით უმეტეს, მეზობლებს შორის. ესეც რომ არ იყოს, როდესაც გიჭირს და პირდაპირი გაგებით ცეცხლი გიკიდია, ქვეყნის გადასარჩენად არათუ რუსეთს, ნებისმიერს უნდა მიმართო.

ხელისუფლება შედრკა. ვიღაცას ანგარიში გაუწია და რუსეთში დასახმარებლად გამზადებული თვითმფრინავის გამოფრენაზე უარი განაცხადა.

რამ შეაშინა ხელისუფლება? ნუთუ „ნაცურმა“ ოპოზიციამ, ან არასამთავრობოებმა, ან აშშ-ის ელჩმა დააფრთხო?

გადაიწვა უნიკალური ტყის მასივი. როგორც ოფიციალურად აცხადებენ, 120 ჰექტარზე მეტი. „აღვადგენთო!“, – აცხადებს ხელისუფლება. ნახანძრალის აღდგენას მრავალი ათეული წელი დასჭირდება. მაშინ არც ეს ხელისუფლება იქნება, რომ ვკითხოთ – რატომ არ აღადგინეო.

ეკოლოგია არა მარტო ავტომანქანების გამონაბოლქვია, არამედ ხე-ტყის უკანონო ჭრაც.

ტყეები ჩვენი უუნარო გარემოს დაცვის სამინისტროს ხელში უხანძროდაც ნადგურდება. უნებართვოდ იჭრება ათასობით კუბმეტრი ჯანმრთელი ხე. საქართველოში უამრავი ხის სახერხია, რომლებიც ადგილობრივ ნედლეულზე მუშაობენ.

როგორც წესი, სანიტარიული ჭრის ნორმებს არავინ არ იცავს, ამის ნათელი მაგალითია, მთელ საქართველოს ტერიტორიაზე ურიცხვი გამხმარი ფოთლოვანი და წიწვოვანი ხეები წლების მანძილზე არ იჭრება და სათანადოდ არ მოიხმარება – სხვათა შორის, თბილისშიც.

ჩვენ კი ნაცვლად იმისა, რომ გავუფრთხილდეთ თითო ხეს და ბუჩქს, ძირში ვჭრით და ვანადგურებთ. მოტიტვლებულ ადგილას კი მრავალსართულიან სახლებს ვაშენებთ.

თვალი შეავლეთ კუს ტბის გზასთან მიმდინარე ინტენსიურ ბინათმშენებლობას – ტყის საფარის ადგილზე. არადა ის, რაც გაიჩეხა, ხელოვნური იყო. ჩემი თაობის ხალხს კარგად ემახსოვრება შაბათობები, როცა სკოლის მოსწავლეები ხეების დასარგავად დავყავდით თბილისის შემოგარენში ხრიოკ მთებზე.

ჩამოვინაცვლოთ ვაკის პარკისკენ. სამი დიდი ნაგებობა იქცევს ჩვენს ყურადღებას. ორი მათგანი საელჩოა – უკრაინისა და ირანის. მათ შორის, მურმანის ეკალივით აგურის სახლია ჩაკვეხებული – კერძო პირის. გაიჩეხა მრავალი ხე და ბუჩქი. თვით პარკში კი აშენდა ფრანგული კოლეჯი, ისიც მწვანე საფარის ადგილზე.

თვალი მიადევნეთ ზოგიერთ არასამთავრობო ორგანიზაციის უთანასწორო ბრძოლას დეველოპერებთან, ხეების მოჭრასთან დაკავშირებით. სამწუხაროდ, ამ „ომში“ არასამთავრობოებს არასდროს გაუმარჯვიათ და რატომ? იმიტომ, რომ საზოგადოების მხრიდან არავითარი მხარდაჭერა არა აქვთ. ათასი პრობლემით დახუნძლულ საზოგადოებას ხვალინდელი დღე არ ანაღვლებს.

ჩვენ თვალწინ მოხდა ყველაფერი, რაზეც ქვემოთ მოგახსენებთ – თბილისის ზღვის შექმნა, მის ირგვლივ გადახრუკული ყამირი ტერიტორიების ათვისება, თბილისის ზღვის წყლით ამ ტერიტორიების გაცოცხლება, ვარკეთილის, სამგორის საბჭოთა მეურნეობების დაარსება და მათი განადგურება, ვაზის აკაფვა და საცხოვრებელი მასივების აშენება. ასე შეიქმნა ვარკეთილის მასივი – წარმატებულ, გახარებულ სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიებზე.

ვარკეთილის საბჭოთა მეურნეობა საჩვენებელი ობიექტების სიაში პირველი იყო – შესანიშნავი ინფრასტრუქტურით. ეს და სამგორის მეურნეობა მთელი წლის განმავლობაში ხილით, ბოსტნეულით ამარაგებდა დედაქალაქს.

თბილისის ზღვა, სარწყავი არხები, მეურნეობები ერთი თაობის ადამიანებმა შექმნეს. მათ გასული საუკუნის 50-იან წლებში მოუხდათ ცხოვრება. ისინი მომავალზე ფიქრობდნენ. ეკოლოგიურად სუფთა მომავალზე. საბინაო საკითხების უმალ გადაწყვეტამ იძალა და ერთი ხელის მოსმით მიწასთან გაასწორა წინამორბედთა მიერ გაწეული ტიტანური შრომა.

დიახ! თბილისს ესაჭიროებოდა საცხოვრებელი სახლები, მაგრამ დაფიქრებით, გონივრულად, უდავოდ გამოიძებნებოდა ახალი საცხოვრებელი მასივებისთვის ტერიტორიები. ამისთვის არ იყო საჭირო შესანიშნავი მეურნეობების განადგურება, ისე, როგორც დიღმის სასწავლო მეურნეობის განადგურება და მის ნაცვლად ვილების წამოჭიმვა.

არაფერი ეშველება ქვეყანას, სადაც ერთი თაობის მიერ შექმნილს მეორე მიწასთან ასწორებს.

მახსენდება „ავადსახსენებელი“ საბჭოთა პერიოდის 70-იანი წლები. მე სრულიად ახალგაზრდა მშენებლობის მინისტრის მოადგილედ ვმუშაობდი. ვკურირებდი სამინისტროს მატერიალურ-ტექნოლოგიურ კომლექტაციას. ვფლობდი მონაცემებს, რა დიდი რაოდენობის ადგილობრივი სამრეწველო ხე-ტყით უნდა დაგვეკმაყოფილებინა რესპუბლიკის მძაფრი მოთხოვნა (მაშინ, ხომ კარ-ფანჯრები, იატაკები, ბევრგან გადახურვებიც და ღობეებიც ხომ ხის კეთდებოდა).

ერთ-ერთი მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე (თავმჯდომარე ზურაბ პატარიძე) დავსვი საკითხი, რომ მოვამზადებდი წერილს საკავშირო საგეგმო, მშენებლობის და მომარაგების კომიტეტების სახელზე, თავმჯდომარის ხელის მოწერით და ყველაფერს გავაკეთებდი იმისთვის, რომ ეს სამივე უდიდესი კომიტეტი, რომლებიც მართავდნენ საბჭოთა კავშირის თითქმის მთელ სახალხო მეურნეობას, დამერწმუნებინა საქართველოში სამრეწველო ტყის ჭრის მიზანშეუწონლობაში. ეს ძალიან რთული საკითხი იყო, მაგრამ რომ ვუყურებდი, როგორ ნადგურდებოდა ჩვენი უმშვენიერესი ტყეები და რა გიგანტი ხის გადამმუშავებელი კომბინატები მუშაობდნენ ამ ნედლეულზე, გული მიკვდებოდა.

პრემიერის წერილით წავედი მოსკოვში. მძიმე შეხვედრების, განხილვების, მსჯელობის და კამათის შემდეგ მივაღწიე ჩვენთვის სასურველ შედეგს. საქართველოში სამრეწველო ტყის ჭრა აიკრძალა და მთელი ფონდები გადაამაგრეს ციმბირში. ეს წესი გრძელდებოდა ჩვენი დამოუკიდებლობის აღიარებამდე. იმ წლების მანძილზე ათასობით კუბმეტრი ტყე გადარჩა, გამრავლდა და იხარა.

მაგრამ როგორც კი თავი დამოუკიდებლად დავიგულეთ, ვჩეხეთ და ვკაფეთ საქართველოს უნიკალური საგანძური და კაპიკად ვყიდეთ უცხოეთში. ანალოგიურს ჩავდივართ დღეს. მერე მაგიდას შემოვუსხდებით და სამშობლოს სადღეგრძელოს შევსვამთ.

სამშობლო მხოლოდ სადღეგრძელოში გვახსენდება. ქვეცნობიერად კი მასზე ისე ვფიქრობთ, როგორც მეწველ ძროხაზე. არ დაეხმარები ბუნებას და არ იქნება ტყე, წყალი, ჰავა, ფაუნა და ფლორა და სხვა უამრავი სიკეთე, რასაც სამშობლო გვაძლევს.

ზემომოყვანილი მაგალითებიდან გამომდინარე, მინდა ხაზგასმით აღვნიშნო მეზობელი რუსეთის დამოკიდებულება ჩვენი პრობლემების მიმართ. მდინარე ივრისთვის კალაპოტის შეცვლა და თბილისის ზღვის შექმნა სტალინის იდეა იყო, რომელსაც ფრთები შეასხა საკავშირო დაფინანსებამ.

იმ დროისთვის ეს პროექტი გრანდიოზულად მიიჩნეოდა. ხუმრობა ხომ არ იყო თბილისის მოტიტვლებული შემოგარენის წალკოტად ქცევა ან დედაქალაქის სასმელი წყლით უზრუნველყოფა და ეს პრობლემა გადაწყდა.

დეველოპერების მადიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, თბილისის ზღვას იმ ფუნქციასაც გამოგლეჯენ ხელიდან – დედაქალაქის სასმელი წყლით მომარაგება რომ ჰქვია. ქალაქზე „შეყვარებული“ მავანნი ქალაქის განვითარებას სწორედ თბილისის ზღვის ირგვლივ ტერიტორიებზე გეგმავენ. აი, მაშინ ნახეთ სამშენებლო ნაგვით და მტვრით ზღვის წყლის დაბინძურება.

ეს პროცესი, სამწუხაროდ, დაწყებულია და გაგრძელდება ისე, როგორც წარმატებით გაგრძელდება ადგილობრივი მოსახლეობის უცხოეთში გადინება – ლუკმაპურის საშოვნელად. მაშ, ვისთვის ვზრდით დედაქალაქს უცხოელთათვის?

საქართველო ისლამიზაციის საფრთხის წინაშეა, ვინაიდან არაქართველი ეთნოსის რაოდენობა ყოველდღიურად იზრდება, მაგრამ ლიბერასტული მედია ამ გარდაუვალ ტრაგედიაზე დუმს.

ზემომოყვანილი მაგალითები აშკარა ილუსტრაციაა იმისა, თუ როგორ „გვიყვარს“ ჩვენი ქვეყანა. იქნებ, გამოვფხიზლდეთ, ირგვლივ მიმოვიხედოთ, შემდეგ ჩვენს თავს შევხედოთ, ოღონდ კრიტიკულად და სუფრაზე არ დავლიოთ სამშობლოს სადღეგრძელო, ვიდრე მცირე წვლილს მაინც არ შევიტანთ მის ბედნიერებასა და კეთილდღეობაში.

თბილისის ზღვის „ეკოქალაქის“ განაშენიანების მაკეტი

ომარ მარგველაშვილი,
საქართველოსა და რუსეთის დამსახურებული ინჟინერი, ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, საქართველოსა და საერთაშორისო საინჟინრო აკადემიების აკადემიკოსი.

ყვავს რა ჰქონდა, ბუს გაჰქონდა...

საქართველოში ბიუჯეტის ჭამა-ყლაპვა გრძელდება!

ეკონომიკური შიმშილით ცნობილ საქართველოში საბიუჯეტო თანხების ჭამა-ყლაპვის პრობლემა არახალია. სახელმწიფო ხაზინის ყვლეფა-ფლანგვით განსაკუთრებით დაგვამახსოვრეს თავი „რეფორმატორული ნიჭით დაჯილდოებულმა“ ნაცბანდელებმა, რომლებიც გვარწმუნებდნენ, კორუფციას ვასაფლავებთო, სინამდვილეში კი მას (ელიტურ კორუფციას) აყვავებდნენ და ამრავლებდნენ. ამის მისაბაძ მაგალითს იძლეოდა თავად პრეზიდენტი სააკაშვილი, რომელიც მსოფლიოს ცნობილ კახპებთან სექსგართობის საფასურსაც კი ბიუჯეტის ჯიბიდან ისტუმრებდა.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან სახსრების ყვლეფის ნაცებისეული „ტრადიცია“ 2012 წელს ხელისუფლებაში არჩევნებით მოსულმა ქოცებმაც „წარმატებით“ გააგრძელეს. ყველას გვახსოვს, ახლად გამინისტრებული მეოცნებენი ჯერ სკამებზეც არ მორგებულიყვნენ და უკვე პრემიების გამოწერაზე გადავიდნენ. ნათქვამია, მადა ჭამაში მოდისო. ასეც იყო, მას შემდეგ, რაც ოცნებელმა ჩინოვნიკებმა და პარლამენტარებმა პრემია-დანამატებს გემო გაუსინჯეს, იფიქრეს, ხელფასთან შედარებით ეს უფრო მაწიერი ყოფილაო და ბიუჯეტში ხელების ფათურს დღემდე აგრძელებენ. და განა მარტო ისინი? როგორც ამ დღეებში პრესის ფურცლებიდან გახდა ცნობილი, თურმე ქართველ ჩინოვნიკებთან ერთად ხაზინის „ჩაროზით“ ყელს კანონის უზენაესობისთვის მებრძოლი ჩვენი პროკურორებიც იკოკლოზინებენ.

ამას კი არ ვიგონებ, ფაქტებზე დაყრდნობით გელაპარაკებით: **ოფიციალურად დეკლარირებული მონაცემებით**, იტყობინება გაზეთი („საქართველო და მსოფლიო“, 13-19 სექტემბერი, 2017 წელი), **საქართველოს მთავარმა პროკურორმა ირაკლი შოთაძემ 2016 წლის განმავლობაში ხელფასთან ერთად 18-ჯერ მიიღო დანამატი და პრემია. სულ მისი წლიური ანაზღაურება იყო 117 ათასი ლარი, საიდანაც 70080 ლარი პრემია-დანამატია. შესაბამისად, მთავარი პროკურორის პირველმა მოადგილემ მამუკა ვასაძემ, რომლის წლიური სახელფასო ანაზღაურება 42240 ლარია, დანამატი და პრემია (70440 ლარის ოდენობით) 21-ჯერ აიღო. ასევე 21-ჯერ აიღეს დანამატი და პრემია მთავარი პროკურორის მოადგილეებმა გიორგი გაბიტაშვილმა და გიორგი გოგაძემ. თუმცა ამათ ყველას „გადაუჯოკრა“ პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსმა თეიმურაზ ნაჭყებიამ, რომელიც პრემია-დანამატის 25-ჯერ აღებით სარეკორდო ნიშნულზე გავიდა!**

პატივცემულო მკითხველო, პროკურატურის მხრიდან საბიუჯეტო შემოსავლებზე ასეთი „ლაშქრობის“ შემდეგ, ვხედავ, განცვიფრებისგან თვალები გაგიფართოვდათ და სიტყვა „უნამუსოები“ არც თუ უსაფუძვლოდ წამოგცდათ. გეთანხმებით, ამ მძიმე სოციალურ ფონზე, როცა ქვეყნის მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს საჭმლისა და წამლის ფულიც კი არა აქვს, პროკურატურის მუშაკთა ასეთი ღორმუცელობა ნამდვილად უსირცხვილობისა და უნამუსობის ტოლფასია, მაგრამ თუკი ასეთი უნამუსობის უფლებას მათ კანონი აძლევს?

რომელი კანონიო? — ალბათ, იკითხავთ. რომელი და კანონი „პროკურატურის შესახებ“, რომლის თანახმად პროკურატურის მუშაკის ხელფასი თანამდებობრივი სარგოსგან, პრემიისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დანამატებისგან შედგება. **სწორედ ამ კანონის ძალით, 2016 წლის ბიუჯეტის გეგმით პროკურატურაში პრემიებისთვის გათვალისწინებული იყო 2721000 ლარი, ხოლო სახელფასო დანამატებისთვის — 5164500 ლარი.**

ხედავთ, პატივცემულო მკითხველო, ბიუჯეტის გეგმით რა ოდენობის თანხები იყო გამოყოფილი ჩვენი ნაჯაფარი და ოფლნაღვარი პროკურორების პრემიებისა და წახალისებისთვის? ჰოდა, კანონის უზენაესობის დამცველ პროკურორებს მის მიმართ უპატივცემულობა რომ არ გამოეჩინათ, იძულებული გახდნენ მთელი წლის მანძილზე უთვლელად და უშურველად ეწერათ და ეწერათ პრემია-დანამატები, ეჯიბათ და ეჯიბათ მუქთა ფულები!

მუქთას იმიტომ ვამბობ, რომ კაცმა არ იცის, პროკურატურისთვის რა დამსახურების ფასად გაიღო სახელმწიფო ბიუჯეტმა მილიონები? იქნებ სულაც იმის საფასურად, ზვიად გამსახურდიას, ზურაბ ჟვანიას, გურამ შარაძის მკვლელობის და წლობით გაუხსნელი სხვა უამრავი რეზონანსული საქმე მთავარ პროკურატურას სამარადჟამოდ თაროებზე რომ აქვს შემოდებული? ვინ იცის, ვინ იცის?!

პროკურატურაზე საუბარს აღარ გავაგრძელებ, მით უფრო, რომ უთავბოლო და უაზრო პრემია-დანამატების გარდა საბიუჯეტო სახსრები სხვა უამრავ რამეზეც „უპრაგონოდ“ იხარჯება. აი, ავიღოთ თუნდაც პარლამენტის ადგილსამყოფელის პრობლემა, რომელიც „ოცნებისთვის“ აუღებელ ციხესიმაგრედ იქცა. დღეს ცხადი ხდება, რომ პრაქტიკულად საექსპლუატაციოდ უვარგისია და დემონტაჟს ექვემდებარება პარლამენტის შენობა ქუთაისში, რომელზეც თავის დროზე ასეულობით მილიონი ლარი დაიხარჯა. ისედაც ღატაკი ქვეყნის ღატაკ ბიუჯეტს ამის გაღება აიძულა შარახვეტია სააკაშვილმა, რომელმაც დედაქალაქში წაგებული არჩევნების გამო, ვითომ თბილისელები დასაჯა და ეს იმით გამოხატა, რომ პარლამენტი თბილისიდან ქუთაისში გადაიტანა. ქვეყნის პირდორბლიანი თავკაცის მიერ დაშვებული ეს სტრატეგიული, პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით მიუტევებელი შეცდომა „ოცნების“ ხელისუფლებამ, დაპირების მიუხედავად, დღემდე ვერ გამოასწორა. არადა, **დეპუტატთათვის საგულდაგულოდ შერჩეულ ძვირფას ავტომობილებს რომ თავი დავანებოთ, ვინმე დაინტერესდა, თბილისიდან ქუთაისში პარლამენტართა წაღმა-უკუღმა პროწიალი, მათი ბინების ხარჯი და კვება, სახელმწიფო ბიუჯეტს რა უჯდება? მონიტორინგის ცენტრ „მედიატორის“ კვლევით ირკვევა, რომ მიმდინარე წლის პირველ კვარტალში მარტო საწვავის ხარჯმა პარლამენტში 92 690 ლიტრი შეადგინა, რაც თანხაზე გადაანგარიშებით 185 ათასი ლარია. ეს მარტო პირველ კვარტალში და მთელი წლის მანძილზე რამდენი ამისთანა დაიხარჯება?!**

ვინც ამ გაუგებრობას ამართლებს (ასეთებიც არიან) და ამით ვითომ ქუთაისელთა ინტერესებს იცავს, იქნებ ერთი ფაქტი მაინც დაგვისახელონ, პარლამენტის ამ აკვიატებულმა ადგილმონაცვლეობამ რა სარგებელი მოუტანა თავად ქუთაისსა და ქუთათურებს? ძალიანაც რომ მოინდომონ, ვერ დაგვისახელებენ. აი, ამ უგუნური გადატანით ქვეყნის ეკონომიკისა და ბიუჯეტისადმი მიყენებული ზარალი კი, როგორც უკვე ვნახეთ, ცხადზე უცხადესია, რაზეც ამჟამინდელი ხელისუფლება რატომღაც თვალებს ხუჭავს. არადა, ეს გადაყრილი თანხები ქუთაისსა და ქუთაისელების დასაქმებას, მათი კეთილდღეობის გაუმჯობესებას (მოსახლეობის დიდი ნაწილი წყალს დღესაც გრაფიკით იღებს) რომ მოხმარებოდა, მათ გაცილებით მეტ სარგებელს მოუტანდა, ვიდრე ქუთაისისთვის ხელოვნურად მიწებებულ „საპარლამენტო ქალაქის“ იმიჯს მოაქვს.

ეს რაც შეეხება ქუთაისური პარლამენტის ეკონომიკურ და სოციალურ „მონაპოვარს“, თუმცა მეოცნებე ხელისუფალნი საბიუჯეტო სახსრების წყალში გადაყრის სხვა საშუალებებსაც არ თაკილობენ. **ამის დასტურად გამოდგება თუნდაც პრემიერ კვირიკაშვილის განკარგულება (№1757), რომლის თანახმად მთავრობის სარეზერვო ფონდიდან კანადის დედაქალაქ ოტავაში „კომუნიზმის მსხვერპლთა“ მემორიალის დასაფინანსებლად 20325 დოლარის ეკვივალენტის ლარი გამოიყო. თუმცა ეს თანხა დაფინანსების მხოლოდ ნაწილია და სამომავლოდ, შესაძლოა, კიდევაც მოიმატოს...**

აი, სწორედ ამაზეა ნათქვამი: ყვავს რა ჰქონდა, ბუს გაჰქონდაო. ან კიდევ: კუდა ხარი თავისთვის არ იყო, სხვას ბუზებს უგერიებდაო. ღატაკი ქვეყნის ხელისუფლება, რომელსაც სახანძრო თვითმფრინავის შეძენის თავიც კი არ აქვს, პრიორიტეტად არა ამ პრობლემის მოგვარებას და ძვირფასი ეკოსისტემის გადარჩენას, არამედ კანადაში რაღაც სულელური მემორიალის აგებას მიიჩნევს.

ყოველივე ამის შემდეგ, დაუჯერებლად მეჩვენება, ვინმემ ირწმუნოს გიორგი კვირიკაშვილის მიერ ქუთაისში, რეგიონულ საარჩევნო შეხვედრაზე გაკეთებული განცხადება, რომ **„ხელისუფლების მთავარი პრიორიტეტი შედეგზე ორიენტირებულობაა და მთავრობამ ეს მოკლე ხანში დაამტკიცა“**. არა მგონია, ეკონომიკასა და ფინანსებში ღრმად ჩახედულ მთავრობის თავკაცს ამ საკითხთან დაკავშირებით რაიმე რჩევა-განმარტება სჭირდებოდეს, მაგრამ მე, როგორც საქართველოს რიგითი მოქალაქე და ჟურნალისტი, ჩემს სათქმელს მაინც ვიტყვი.

ბატონო პრემიერო, როგორც თქვენ აცხადებთ, თუ მართლაც ხელისუფლების მთავარი პრიორიტეტი შედეგზე ორიენტირებულობაა, მაშ რატომ არის ქვეყანაში გამეფებული ასეთი ქაოსი (ჩინოვნიკი იმდენჯერ გამოიწერს პრემიას, რამდენჯერაც მოეპრიანება) და უშედეგობა. იქნებ აგვიხსნათ, ბუნებრივი სიმდიდრით კურთხეულ ქვეყანაში რატომ ხდება, რომ ეკონომიკა გაყინულია (3-პროცენტიანი ზრდა ვერაფერი შეღავათია), ხალხი დაუსაქმებელი და მშიერ-მწყურვალი, ყოველი 1000 ადამიანიდან 800 ბანკის მძევალია, საარსებო მინიმუმს მოკლებული პენსიონერი კი — ცოცხლად დამარხული(?!)

ეს ყველაფერი იმიტომ ხდება ბატონო პრემიერო, რომ სიტყვით დამოუკიდებელ საქართველოს არ ჰყავს საქმით დამოუკიდებელი (თქვენი ჩათვლით) ხელისუფლება, რომელიც ორიენტირებული იქნება არა დასავლელი პარტნიორების რეკომენდაციების, არამედ ქვეყნისა და ხალხის სურვილ-ინტერესების განხორციელებაზე. ეჭვი არავის ეპარება, რომ თუ მთავრობა ხალხის არჩეული გზით ივლის და არა მარტოოდენ დასავლეთის მითითებით, ქვეყანა ეკონომიკურად მალევე მოლონიერდება, სიმდიდრეს, რომელიც ახლა ერთი მუჭა მსხვილი ბიზნესმენებისა და ბანკირების ხელშია, მოსახლეობის საშუალო ფენა დაეპატრონება, რომელიც განავითარებს წარმოებას, უმუშევარს დაასაქმებს, სოციალურად დაუცველს დააპურებს და შექმნის საყოველთაო კეთილდღეობის წინაპირობას. ხალხი სწორედ ასეთი ხელისუფლების მოლოდინშია.

ოთარ ხუციშვილი

სარფში ასობით ღერი არადეკლარირებული სიგარეტი აღმოაჩინეს

21 სექტემბერს საბაჟო გამშვებ პუნქტში „სარფი“ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა, ეჭვის საფუძველზე, საქართველოს მოქალაქის დ.ზ-ს ფიზიკური დათვალიერებისას, 580 ღერი არადეკლარირებული სიგარეტი აღმოაჩინეს.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289 მუხლის მე-14 ნაწილის შესაბამისად, სამართალდამრღვევ პირს ჩამოერთვა არადეკლარირებული საქონელი და შეეფარდა ფულადი ჯარიმა ათასი ლარის ოდენობით.

ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘᲡ „ᲓᲘᲓᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲘ“, ᲘᲢᲐᲚᲘᲔᲚᲘ ᲙᲘᲔᲖᲐ ᲝᲡᲔᲑᲡ ᲛᲝᲠᲘᲒ ᲮᲛᲐᲛᲐᲦᲐᲚ ᲓᲐᲞᲘᲠᲔᲑᲔᲑᲡ ᲐᲫᲚᲔᲕᲡ



ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘᲡ „დიდი მეგობარი“, იტალიელი ჯულიეტო კიეზა ოკუპირებული ე.წ. სამხრეთ ოსეთის პოპლარიზების მიმართულებით მოღვაწეობას ჯერჯერობით რაიმე ხელშესახები შედეგის გარეშე განაგრძობს.

ცნობილი იტალიელი მწერალი, ჟურნალისტი და პოლიტიკოსი, იტალიური პარტიის „ალტერნატივა ევროპისთვის“ ლიდერი, ყოფილი ევროპარლამენტარი, „ქართული ფაშიზმის“ მითის აქტიური პროპაგანდისტი ცხინვალს მორიგი ვიზიტით იტალიურ დელეგაციასთან ერთად ეწვია, რომელიც დღეს იტალიის ქალაქ ამატრიჩეში გასულ წელს მომხდარი მიწისძვრის მსხვერპლთა ხსოვნისადმი მიძღვნილ საღამოს გამართავს.

„სპუტნიკ-ოსეტიასთან“ საუბრისას კიეზამ ოსებისთვის მორიგი ხმამაღალი დაპირებები გასცა, კერძოდ, აღნიშნა, რომ დე ფაქტო პრეზიდენტის ევროპარლამენტში გამოსვლის ორგანიზებას გეგმავს.

„ეს იქნება ფუნდამენტური მოვლენა, რომელიც, ცხადია, დიდ სკანდალს გამოიწვევს. თუმცა რამდენიმე დეპუტატი მზად არის, მხარი დაგვიჭიროს. ევროპარლამენტის კერძო დეპუტატს უფლება აქვს, სხვადასხვა ღონისძიებები დაგეგმოს. ჩვენ შევაგროვებთ დეპუტატთა ჯგუფს, რომელიც პრეზიდენტს ან საგარეო საქმეთა მინისტრს მოიწვევს. ძალიან გამიხარდება, თუ ეს გამოგვივა“, — განაცხადა კიეზამ.

გარდა ამისა, მისი თქმით, შემოდგომაზე იტალიაში ოსი ხელოვანების ვიზიტები და რამდენიმე პოლიტიკური ღონისძიებაც იგეგმება, მათ შორის — დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრის ვიზიტი.

თუმცა „აქცენტის“ მკითხველს ბატონი კიეზას მიერ 2017 წლის თებერვალში გაცემული მსგავსი დაპირებებიც ახსოვს, რომელიც ამ დრომდე არ განხორციელებულა.

„ვფიქრობ, სხვა ქვეყნებიც არსებობს, სადაც შესაძლებელია წარმომადგენლობების გახსნა. მაგალითად, ლათინურ ამერიკაში, სადაც არცთუ ცოტა მეგობარი გყავთ... არიან ევროპაშიც. მაგალითად, სან-მარინო არსებობს — პატარა სუვერენული ქვეყანაა იტალიის ცენტრში, რომელიც, ვფიქრობ, შეძლებდა თქვენს აღიარებას და იქ წარმომადგენლობის გახსნაც არის შესაძლებელი. თქვენ გყავთ მეგობრები საფრანგეთშიც, გერმანიაშიც — ოსი ემიგრანტები, რომლებიც შეგვიძლია, საქმეში ჩავრთოთ“. ამჟამად ვაპირებ, მივწერო ევროპული პარლამენტის პრეზიდენტს, რომელიც იტალიელია და, საბედნიეროდ, პირადად ვიცნობ. და როდესაც თქვენი პარლამენტი მიიღებს გადაწყვეტილებას და გავხდები თქვენი წარმომადგენელი ევროპარლამენტში, გპირდებით, რომ მივწერ, შევხვდები, ავუხსნი სიტუაციას და ა.შ. და ეს ნაბიჯები, ყველა თუ არა, ნაწილობრივ მაინც გაჟონავს პრესაში. საკმარისი იქნება ორი-სამი სტატია, ორი სიახლე ინტერნეტში და ა.შ. იტალიაში ბევრი მიცნობს და უდავოდ, ამას გამოხმაურება მოჰყვება იქაც და ევროპის სხვა ქვეყნებშიც“ — განაცხადა კიეზამ წინა ვიზიტის დროს მიცემულ ერთ-ერთ ინტერვიუში.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო მსგავს პერსონებსა და მათ აქტივობებში საფრთხეს ვერ ხედავს:

„საქართველოს დიპლომატიური სისტემა აქტიურად მუშაობს აღიარების რისკების ნიველირებასა და საოკუპაციო რეჟიმების მიერ საზღვარგარეთ უკანონო კონტაქტების დამყარების პრევენციაზე. საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმატებული ძალისხმევის შედეგად ორმა სახელმწიფომ — ვანუატუმ და ტუვალუმ უკვე შეცვალეს წინა გადაწყვეტილებები და მხარი დაუჭირეს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ფარგლებში. რაც შეეხება იტალიას, მოგეხსენებათ, ეს ქვეყანა, ევროკავშირის სხვა დანარჩენ სახელმწიფოებთან ერთად, მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას, ისევე, როგორც არაღიარების პოლიტიკის გატარებას. ამის მხარდამჭერი განცხადებები არაერთხელ გაუკეთებიათ იტალიის ხელისუფლების წარმომადგენლებს და საჯაროდაც დაუფიქსირებიათ მკაფიო პოზიცია. შესაბამისად, იტალიური წარმომავლობის ორი დამოუკიდებელი ინდივიდის (მაურო მურჯა და ჯულიეტო კიეზა) კერძო საქმიანობა, თითქოს ისინი ხელს უწყობდნენ ოფიციალურ რომთან ვინმეს კონტაქტებს, რუსეთის საოკუპაციო რეჟიმის მედიაკამპანიის ნაწილს წარმოადგენს და არაფერი აქვს საერთო რეალობასთან. ცხადია, ამ ადამიანების საქმიანობას არანაირი გავლენა და კავშირი არ აქვს იტალიის ოფიციალურ პოზიციასთან“ — განუცხადეს „აქცენტს“ საქართველოს საგარეო პოლიტიკურ უწყებაში.

> **როდესაც თქვენი პარლამენტი მიიღებს გადაწყვეტილებას და გავხდები თქვენი წარმომადგენელი ევროპარლამენტში, გპირდებით, რომ მივწერ, შევხვდები, ავუხსნი სიტუაციას და ა.შ. და ეს ნაბიჯები, ყველა თუ არა, ნაწილობრივ მაინც გაჟონავს პრესაში**

კავკასიოლოგი **ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲙᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ** კი თვლის, რომ საქართველო-იტალიის ურთიერთობები არასაკმარისად აქტიურია:

„აქ შემდეგი სისტემა მოქმედებს: დე ფაქტო რეჟიმები ცალკეულ ქალაქებთან მეგობრდებიან და ცალკეულ ადამიანებზე გადიან, რომლებსაც მეტი დამოუკიდებლობა აქვთ ცენტრალური ხელისუფლებისგან. შესაბამისად, ძირითადად ეს არა სახელმწიფოს, არამედ ცალკეული იტალიელი ჩინოვნიკების პოზიციაა. ჯამში, ეს აქტივობები არ უნდა განვიხილოთ, როგორც იტალიის განსაკუთრებული მხარდაჭერა საქართველოს ოკუპირებული რეგიონებისადმი. ეს უფრო იტალიის ნაკლებ ინტერესს და უყურადღებობას აჩვენებს ამ თემატიკასთან დაკავშირებით. შესაბამისად, ალბათ, სამომავლოდაც იქნება მსგავსი ტიპის, ასე ვთქვათ, პრობლემები, რომელიც ჩვენ შეიძლება, გვაღიზიანებდეს, მაგრამ რეალურ სურათს ეს დიდად არ შეცვლის: არაღიარების პოლიტიკას, რომელიც ევროკავშირისაა, მისი წევრი იტალიაც იზიარებს და საფრთხეებს ამ კუთხით არ უნდა ველოდოთ, ისევე, როგორც ევროკავშირის წევრი რომელიმე სხვა სახელმწიფოსგან. რაც შეეხება ქართული დიპლომატიის აქტივობებს, საქართველოს იტალიაზე განსაკუთრებული ზეწოლის მოხდენის შესაძლებლობა შესაძლოა, ნაკლებად ჰქონდეს იქიდან გამომდინარე, რომ ორმხრივი ურთიერთობები, ღიად რომ ვთქვათ, არ არის მაინცდამაინც აქტიური. და თავად იტალიასაც ნაკლებად აინტერესებს ჩვენი რეგიონი, ყოველ შემთხვევაში, მისი გამოხატული ინტერესი რეგიონში არ იგრძნობა. თუმცა მთლიანობაში, თუ კონფლიქტებთან მიმართებაში ჩვენი რომელიმე პოლიტიკაა წარმატებული, უნდა ვაღიაროთ, რომ ეს არაღიარების პოლიტიკაა და ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი საფრთხე სტატუს-კვოს, ვფიქრობ, არ ემუქრება“.

სადღეისოდ ე.წ. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობა რუსეთის გარდა, ლათინური ამერიკის ორ ქვეყანას — ვენესუელასა და ნიკარაგუას, ასევე წყნარი ოკეანეს კუნძულოვან სახელმწიფო ნაურუს აქვთ აღიარებული.

ᲝᲙᲣᲞᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲔᲠᲝᲡ ᲢᲠᲘᲑᲣᲜᲐᲡ ᲘᲗᲮᲝᲕᲡ



ᲝᲙᲣᲞᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ აფხაზეთის საოკუპაციო რეჟიმის ე.წ. საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაეროს გენერალურ მდივანს მიმართა და სურვილი გამოთქვა, რომ გაეროს ტრიბუნაზე სხვა ქვეყნების მსაგავსად „აფხაზეთის წარმომადგენელი“ სიტყვით გამოვიდეს. როგორც საოკუპაციო რეჟიმის „სამინისტროს“ განცხადებშია ნათქვამი, გაეროს ტრიბუნიდან პოლონეთის, სლოვაკეთის, თურქეთის, ლიტვისა და ესტონეთის პრეზიდენტებმა დაგმეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა და სუვერენიტეტის ხელყოფა, რითაც ამ ქვეყნების წარმომადგენლებმა საერთაშორისო საზოგადეობის სურვილის დემონსტრირება მოახდინეს, რომ მათ არ სურთ აღიარონ და გაიზიარონ „აფხაზი ხალხის სურვილი და პოზიცია დაიცვან საკუთარი კანონიერი უფლება დამოუკიდებელ და თავისუფალ განვითარებაზე“.

„გვინდა გავამახვილოთ გაეროს გენერალური მდივნის ყურადღება, რომ აუცილებელია შეიქმნას მექანიზმი, რითაც აფხაზეთის რესპუბლიკის წარმომადგენლები გაეროს პროფილურ სტრუქტურებში სამუშაოებში მონაწილეობის მიღებას შეძლებენ. გაეროს უმაღლესი ტრიბუნიდან აფხაზეთის რესპუბლიკის პოზიციის გახმოვანება ფართო საერთაშორისო აუდიტორიისთვის ხელს შეუწყობდა ქართულ -აფხაზური დაპირისპირების განმუხტვისთვის და ქართულ-აფხაზური დიალოგისთვის საჭირო საფუძვლის მომზადებას“, — ნათქვამია საოკუპაციო რეჟიმის ე.წ. სამინისტროს განცხადებაში.

ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜ ᲪᲘᲮᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ: ᲝᲙᲣᲞᲘᲠᲔᲑᲣᲚ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲔᲑᲨᲘ ᲣᲤᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲓᲐ ᲰᲣᲛᲐᲜᲘᲢᲐᲠᲣᲚᲘ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲣᲛᲫᲘᲛᲔᲡᲘᲐ

ᲨᲔᲠᲘᲒᲔᲑᲘᲡᲐ და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ქეთევან ციხელაშვილი ნატო-საქართველოს კომისიის სხდომაზე სიტყვით გამოვიდა.

ქეთევან ციხელაშვილმა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ ვითარებაზე, საქართველოს მთავრობის სამშვიდობო პოლიტიკის მიმართულებებზე და სამომავლო გეგმებზე ისაუბრა.

სახელმწიფო მინისტრის განცხადებით, „რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიის 20%-ზე მეტის ოკუპაცია რჩება უმნიშვნელოვანეს პრობლემად რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნების თვალსაზრისით. მშვიდობის შენარჩუნება მუდმივი პროვოკაციების ფონზე ხდება, რომლებიც ქმნის არა მარტო უსაფრთხოების პრობლემას, არამედ ჰუმანიტარულ გამოწვევას ათასობით ადგილობრივი ოჯახისთვის. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში არიან ეთნიკური ქართველები გალისა და ახალგორის რაიონებში — მათ ეზღუდებათ გადაადგილების თავისუფლება, საკუთრებისა და მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლებები, დასაქმების შესაძლებლობა.“

ქეთევან ციხელაშვილმა მიმოიხილა საქართველოს მთავრობის სამშვიდობო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები და სამომავლო პერსპექტივებზეც ისაუბრა.

„საქართველო განუხრელად მიუყვება კონფლიქტების გადაჭრის პოლიტიკის მშვიდობიან, პრაგმატულ და კონსტრუქციულ გზას. ჩვენი მიდგომა არის მკაფიო: რაც უფრო მაღალია კეთილდღეობა, მით უფრო უნდა გავაძლიეროთ ძალისხმევა, ავაშენოთ ხიდები და გადავლახოთ ბარიერები. აუცილებელია ხალხთა შორის კონტაქტების გაძლიერება, ნდობის აღდგენის პროექტების ხელშეწყობა. უნდა გაგრძელდეს დინამიკური ნაბიჯები ჩართულობის და შერიგების პოლიტიკის მიმართულებით. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რომ ჩვენი პროგრესი ევროპულ და ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე გამოვიყენოთ კონფლიქტების მოგვარების მიმართულებით, როგორც რუსიფიკაციის ერთადერთი ალტერნატივა. და ავაშენოთ ერთიანი ევროპული სახელმწიფო, სადაც ყველა მოქალაქის უფლება და ყველა ეთნიკური ჯგუფის იდენტობა დაცულია. ამისათვის კი ჩვენ გვჭირდება მძლავრი საერთაშორისო თანადგომა, რათა გადავლახოთ უკვე არსებული და მომავალში შესაძლებელი დესტრუქციული ქმედებები რუსეთის მხრიდან.“

სახელმწიფო მინისტრმა კომისიის წევრი ქვეყნების წარმომადგენელთა კითხვებსაც უპასუხა.

მეცნიერებისთვის შეწირული ცხოვრება

მარიამ ლორთქიფანიძე და ოთარ ჯაფარიძე – 95

ალბათ, უჩვეულოა, ერთ წერილში ორი პიროვნების ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ საუბარი. და მაინც, რა იძლევა ამის საფუძველს? ორივენი თანაწლოვანები არიან. ერთად შევიდნენ ერთი და იმავე სკოლის პირველ კლასში, სწავლობდნენ წარჩინებით, ერთ და იმავე წელს დაამთავრეს სკოლა და ერთდროულად ჩაირიცხნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ და იმავე ისტორიის ფაკულტეტზე. ერთდროულად დაამთავრეს უმაღლესი სკოლა. ერთდროულად შევიდნენ ასპირანტურაში (ერთი — საქართველოს ისტორიის, მეორე — არქეოლოგიის მიმართულებით). ასპირანტურაც ერთდროულად დაამთავრეს და საკანდიდატო დისერტაციებიც ერთ წელიწადს (1948 წ.) დაიცვეს და მეცნიერული მოღვაწეობის დიდ გზაზე გამოვიდნენ. არც შემდგომ დაუკარგავთ ერთმანეთი. მთელი ცხოვრება საქართველოს ისტორიის შესწავლას ემსახურებოდნენ, დაიცვეს სადოქტორო დისერტაციები და გარკვეული დროის შემდეგ აკადემიკოსები გახდნენ. მიღებული აქვთ ბევრი ჯილდო, ბევრი პრემია. რაც მთავარია, ოთხმოცდაათწლოვანი განუყრელი მეგობრობა დღემდე აკავშირებთ ერთმანეთთან.

ისინი, ქართული ისტორიული მეცნიერების პატრიარქები, მარიამ ლორთქიფანიძე და ოთარ ჯაფარიძე არიან. მათი ურთიერთობა იმდენად ახლოა, რომ ხუთი წლის წინ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ ოთხმოცდაათწლოვანი იუბილე ერთად გადაუხადათ. ასე რომ, მკითხველი მომიტევებს ამგვარ ნაბიჯს, რომელიც, პრაქტიკულად, პარალელური ბიოგრაფიების წარმოდგენას ითვალისწინებს. ამგვარი ჟანრი ძველთაგანვე არსებობს ისტორიოგრაფიაში. იგი ძველმა ბერძენმა ისტორიკოსმა, პროზაიკოსმა და ფილოსოფოს-ეთიკოსმა პლუტარქემ დაამკვიდრა ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში.

ამჯერად ჩვენი მიზანია, გავიხსენოთ ეს ჟანრი და წარმოვაჩინოთ პარალელურად ორი გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე — მარიამ ლორთქიფანიძე და ოთარ ჯაფარიძე, რომლებსაც 95 წელი შეუსრულდათ.

მეგობრობა გზად და ხიდად

მარიამ ლორთქიფანიძე

მ. ლორთქიფანიძის კალამს ეკუთვნის 200-ზე მეტი ნაშრომი, მათ შორისაა რამდენიმე მონოგრაფია, სამეცნიერო სტატიები. გარდა ამისა, მრავალი საენციკლოპედიო თუ საგაზეთო სტატია. ამ ნაშრომებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქართული მედიევისტიკის განვითარებაში, შუქი მოჰფინეს ბევრ, მანამდე გადაუჭრელ პრობლემას. ამავე დროს ის გულმხურვალედ და შემართებით ეხმაურება საზოგადოებრივი ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებს, პირნათლად იხდის მეცნიერ-პატრიოტის ვალს სამშობლო ქვეყნის წინაშე.


მარიამ ლორთქიფანიძე

ოთარ ჯაფარიძე

მ. ლორთქიფანიძე მაღალი ღირსებით გამორჩეული ოჯახის შვილია. მშობლებმა დიდი კვალი დაამჩნიეს მის აღზრდას. მან 1939 წელს წარჩინებით — ოქროს მედალზე დაამთავრა თბილისის 25-ე საშუალო სკოლა. 1943 წ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორია-ფილოსოფიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, იქვე ჩაირიცხა ასპირანტურაში საქართველოს ისტორიის სპეციალობით. 1947 წ. მუშაობა დაიწყო ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში. 1948 წ. დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1963 წ. სადოქტორო დისერტაცია.

მ. ლორთქიფანიძე ფართო დიაპაზონის მეცნიერია. იგი იკვლევს საქართველოს შუა საუკუნეების სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, სახელმწიფო წყობილების და კულტურის ისტორიის საკითხებს. აგრეთვე დიდ ადგილს უთმობს ქართულ წყაროთმცოდნეობასა და ისტორიოგრაფიას. მარიამ ლორთქიფანიძის მონოგრაფიაში — „ქართლი V საუკუნის მეორე ნახევარში“ (1979 წ.) განხილულია ვახტანგ გორგასლის მოღვაწეობა და ადრეფეოდალური საზოგადოების ჩამოყალიბების საკითხები; ხაზგასმულია დიდი მეფის საეკლესიო საქმიანობა. მეცნიერის კვლევა-ძიების შედეგების ერთი ნაწილი თავმოყრილია ფუნდამენტურ გამოკვლევაში „საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება“. ნაშრომში ერთიანი საქართველოს ფეოდალური მონარქიის შექმნა განხილულია მახლობელ აღმოსავლეთში მიმდინარე ისტორიულ მოვლენებთან კავშირში, რამაც დააჩქარა ეროვნული ძალების კონსოლიდაციის პროცესი და ეროვნული თვითშეგნების ზრდა; შესწავლილია ქვეყნის გაერთიანების სოციალურ-ეკონომიკური საფუძვლები, ქართული ეკლესიის როლი საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლაში.

დადგენილია, რომ საქართველოს ცენტრალურ რეგიონებში არაბთა შედარებით მყარი ხელისუფლების არსებობის პირობებში დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლა პერიფერიებში დაიწყო, ჩამოყალიბდა ახალი სამეფო-სამთავროები, კახეთის საქორეპისკოპოსო, აფხაზთა სამეფო, ქართველთა (ტაოკლარჯეთის) საკურაპალატო, ჰერეთის სამთავრო და ქართული ქვეყნების გაერთიანების პროცესი სწორედ ამ სამეფო-სამთავროების ჩამოყალიბებით დაიწყო. ეს მონოგრაფია ავტორის სადოქტორო დისერტაციას წარმოადგენდა. დაცვა შედგა 1963 წელს. იგი მალე თბილისის უნივერსიტეტის პროფესორად აირჩიეს. 1972 წელს მარიამ ლორთქიფანიძე საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე გახდა.

მ. ლორთქიფანიძის მონოგრაფიაში „საქართველო XI-XIII საუკუნეებში“, რომელიც რუსულ ენაზე გამოიცა 1974 წელს, ნაჩვენებია ისტორიული საფუძვლები, რომელთაც განაპირობეს საქართველოს ძლიერი ქრისტიანული სახელმწიფოს შექმნა, წარმოჩენილია საქართველოს ავანგარდული როლი იმდროინდელ კავკასიაში, მოცემულია XI-XIII საუკუნეების საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ისტორიის ნათელი სურათი. ამ ნაშრომისათვის მეცნიერს მიენიჭა ივ.ჯავახიშვილის სახელობის პრემია. 1987 წელს ინგლისურ ენაზე გამოიცა მარიამ ლორთქიფანიძის „XI-XII საუკუნეების საქართველოს ისტორია“. 1966 წელს, რუსთაველის რვაასწლოვანი იუბილის დროს, გამოცემული „რუსთაველის ეპოქა“ (ქართულ და რუსულ ენებზე) პოპულარულად წარმოაჩენს საკითხთა იგივე წრეს, აღწერს „ოქროს ხანას“ საქართველოში.

მ. ლორთქიფანიძემ მნიშვნელოვანი ამაგი დასდო „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ რვატომეულის შექმნას. იგი აქტიურად მონაწილეობდა „ნარკვევების“ II და III ტომების მომზადებაში. თანაავტორია სწორედ ამ ტომებში გამოქვეყნებული საკითხებისა. მის მიერ გამოქვეყნებულია IX-XII საუკუნეების საქართველოს ისტორიის ძირითადი საკითხები. რვატომეულმა მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ქართულ ისტორიოგრაფიაში. ავტორთა კოლექტივი, მათ შორის, მარიამ ლორთქიფანიძე 1980 წელს სახელმწიფო პრემიით დააჯილდოვეს.

მ. ლორთქიფანიძემ თავის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო საქართველოს გლეხობის ისტორიის კვლევას. აქვე გააშუქა აზნაურთა ფენის წარმოქმნა-ჩამოყალიბების პრობლემებიც. მეცნიერის ნაშრომები: „ძირითადი საზოგადოებრივი კლასები IX-X საუკუნეების საქართველოში“, „ბატონყმობის გამარჯვების საკითხისათვის“, „საქართველოს გლეხობის ეკონომიკური მდგომარეობა VI-XIII საუკუნეების საქართველოში“ (კოლექტიური ნაშრომის ერთი ნაწილია) და სხვა. მნიშვნელოვან დებულებებსა და დასკვნებს შეიცავს საქართველოს გლეხობის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის, აზნაურთა სტატუსისა და მათ მიერ მიწების ფლობის შესახებ. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის პირველი მეფის ბაგრატ III-ის ცხოვრებასა და მოღვაწეობას წიგნში „ბაგრატ III“.

მან განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია „ბაგრატ III-ის სამართალს“ და აქედან გამომდინარე ფასეული დასკვნები გააკეთა ბატონყმობის გამარჯვების თარიღთან დაკავშირებით. დაადასტურა, რომ IX საუკუნისათვის გლეხობა ჩამოყალიბებულია როგორც ერთიანი სოციალური ფენა და მიწაზეა მიმაგრებული. ასევე დამთავრებულია ამ დროისათვის აზნაურების ერთიან ფენად ჩამოყალიბების პროცესი. უკვე არსებობენ „დიდებული აზნაურები“. მარიამ ლორთქიფანიძემ თვალი გაადევნა მიწის საკუთრების ისეთი ფორმების არსებობას და მის ევოლუციას, როგორიცაა „აგარა“ („აგარაკი“) და გამოთქვა თვალსაზრისი, რომ „ქართულმა „აგარაკმა“ განვითარების ისეთივე გზა განვლო, როგორიც ევროპულმა „ალოდმა“. გამორჩეულად საინტერესოა მარიამ ლორთქიფანიძის ნაშრომი „ქალაქის მოხელეთა საკითხისათვის ფეოდალურ საქართველოში“. მეცნიერი ასკვნის, რომ ქართულ ქალაქებში არაბული სახელწოდების სამოხელეო ინსტიტუტები (ამირა, შურტა, მუჰთასიბი) განსხვავდებიან თავისი არსით სახალიფოს ქალაქებში მოღვაწე იმავე სახელწოდების მოხელეებისაგან. ეს კი აიხსნება მათზე ქართული სინამდვილის გავლენით. საგულისხმოა, რომ საქართველოს სახელმწიფო მონარქიის უმნიშვნელოვანესი მოხელე „ვაზირი“ მარიამ ლორთქიფანიძემ დაუკავშირა ქართულ ნიადაგზე აღმოცენებულ „უხუცესთა“ ინსტიტუტსა და საინტერესო დასკვნები მოგვცა მის შესახებ.

გიორგი კვესიტაძე, ვლადიმერ პაპავა, მარიამ ლორთქიფანიძე, მზექალა შანიძე

მეცნიერმა თავის შემოქმედებაში გარკვეული ადგილი დაუთმო ქართული ისტორიული აზროვნების საკითხებს. მის მონოგრაფიაში „ადრეფეოდალური ხანის საისტორიო მწერლობა“ ქართული საისტორიო აზროვნების განვითარების დონის წარმოსაჩენად დეტალურად განიხილა ჰაგიოგრაფიული მწერლობა. ყურადღება დაუთმო სამოქალაქო საისტორიო მწერლობას და მისი წარმოშობის პრობლემას. ეს საკითხი სრულიად მართებულად წინაქრისტიანული ხანის ისტორიულ აზროვნებასთან დააკავშირა. საინტერესო ისტორიოგრაფიული ნაშრომია „ადრეფეოდალური ხანის ისტორიის ზოგიერთი საკითხი ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში“.

დიდი ამაგი დასდო ქართული საისტორიო წყაროების რუსულად თარგმნას. მეცნიერმა თარგმნა და რუსულად გამოსცა „ქართლის ცხოვრების“ თხზულებები: „მატიანე ქართლისა“ და სუმბატ დავითის ძის „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონთა“. აღნიშნული გამოცემებისათვის მარიამ ლორთქიფანიძეს ნიკოლოზ ბერძენიშვილის სახელობის პრემია მიენიჭა. მის მიერ დამუშავებული ეს თხზულებები გათვალისწინებულ იქნა 2008 წელს გამოცემულ „ქართლის ცხოვრებაში“. რუსული თარგმანები კი იმავე წელს გამოცემული „ქართლის ცხოვრების“ რუსულ ვარიანტში შევიდა. „ქართლის ცხოვრების“ ახალ გამოცემაში გაწეული შრომისათვის მარიამ ლორთქიფანიძეს მიენიჭა ივანე ჯავახიშვილის სახელობის სააკადემიო პრემია (სხვა ავტორებთან ერთად). დიდი ამაგი დასდო ქართლის ცხოვრების შესწავლას (იხ. „რა არის ქართლის ცხოვრება“, თბ., 1989 წ.).

მან მონაწილეობა მიიღო აფხაზეთის ისტორიის ნარკვევების შექმნაში. იყო პირველი ტომის ავტორი (სხვა მეცნიერებთან ერთად), კერძოდ მან დაწერა აფხაზეთის ადრეფეოდალური ხანის ისტორიის მონაკვეთი (1960 წ.). ეს გარკვეული წვლილი იყო აფხაზეთის ხალხის ისტორიის შესწავლის საქმეში. ნაშრომში „აფხაზები და აფხაზეთი“ (ქართულ, რუსულ, ინგლისურ ენებზე) მარიამ ლორთქიფანიძეს განხილული აქვს აფხაზეთის ისტორია და მისი ადგილი

ნოდარ ჯანბერიძე, ოთარ ჯაფარიძე, ირაკლი აბაშიძე, როინ მეტრეველი, თინა მრევლიშვილი, ნათელა ვასაძე, რესან კონცელიძე, მარიამ ლორთქიფანიძე, გივი კიღურაძე

საქართველოს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში, ცნების „აფხაზების“ და „აფხაზეთის“ მნიშვნელობა, ამ ტერმინის შინაარსის ცვლა სხვადასხვა ეპოქაში. დასაბუთებულია, რომ აფხაზეთი ყოველთვის საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო.

მარიამ ლორთქიფანიძე არის „ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევების“ I ტომის (1998 წ.) თანაავტორი.

მარიამ ლორთქიფანიძემ საგანგებოდ შეისწავლა და რამდენიმე ნაშრომი მიუძღვნა ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობასა და მათ ერთობლივ ბრძოლას უცხო დამპყრობთა წინააღმდეგ, ქართული და სომხური ეკლესიების ურთიერთობას. მეცნიერმა გარკვეული ადგილი დაუთმო საქართველოსა და ბიზანტიის ურთიერთობების შესწავლას. ერთ-ერთ ნაშრომში წარმოადგინა ბიზანტიურ-ქართული კულტურული ურთიერთობების პერიოდიზაცია. მარიამ ლორთქიფანიძემ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა თბილისის ისტორიის შესწავლაში. გამოიკვლია თბილისის წარმოქმნისა და პოლიტიკურ-კულტურული, სოციალური ისტორიის, სამოხელეო წყობილების, ქალაქის ისტორიული გეოგრაფიის, ქალაქის განაშენიანების საკითხები.

მ. ლორთქიფანიძე აქტიურად იცავს ჩვენი ქვეყნის ისტორიას მეცნიერულ გამყალბებელთაგან. მან საგანგებო წერილში, რომელიც 1968 წელს რუსულ ენაზე გამოქვეყნდა, ამხილა სომეხი მეცნიერის პ. მურადიანის თვალსაზრისის უსაფუძვლობა მცხეთის ჯვრის ამშენებლად სომეხი ხუროთმოძღვრის გამოცხადების შესახებ, აგრეთვე, გაილაშქრა (შოთა მესხიასთან ერთად) ვერმიშევის რომანის „ამირსპასალარის“ წინააღმდეგ. რეცენზია („მრუდე სარკეში“) გამოქვეყნდა გაზეთ „კომუნისტში“ (1969 წ.).

მისი თანაავტორობითა და რედაქციით გამოიცა საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის. მ. ლორთქიფანიძე თანაავტორია საქართველოს ისტორიის საშუალო სკოლის სახელმძღვანელოებისა. დიდ დროს უთმობდა საქართველოს ისტორიის პოპულარიზაციას. აქტიურად მონაწილეობს სამეცნიერო ცხოვრებაში. იგი არაერთგზის მონაწილეობდა ისტორიკოსთა რესპუბლიკურ, საკავშირო და საერთაშორისო სიმპოზიუმებსა და კონგრესებში.

მისი შრომები გამოქვეყნებულია ქართულ, რუსულ, ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ ენებზე.

1975 წელს მარიამ ლორთქიფანიძეს საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება მიენიჭა. 1983 წელს იგი აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, 1993 წელს — ნამდვილ წევრად. მარიამ ლორთქიფანიძე არჩეულია თბილისის საპატიო მოქალაქედ.

მ. ლორთქიფანიძის სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი ღვაწლი აღინიშნა საქართველოს სახელმწიფო პრემიით, აგრეთვე, ივანე ჯავახიშვილის, ნ. ბერძენიშვილის პრემიებით. დაჯილდოებულია ქართული მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის უმაღლესი ჯილდოთი — წმინდა გიორგის ოქროს ორდენით. ამერიკის ბიოგრაფიის ინსტიტუტმა მარიამ ლორთქიფანიძე 1997 წლის გამოჩენილ ადამიანად გამოაცხადა.

ოთარ ჯაფარიძე

ოთარ ჯაფარიძე დაიბადა 1921 წლის 16 სექტემბერს თბილისში. დაამთავრა 25-ე საშუალო სკოლა (1939 წ.) და სწავლა გაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ 1943 წ. ირიცხება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში არქეოლოგიის სპეციალობით. 1946 წელს დაამთავრა ასპირანტურა. 1948 წ. დაიცვა საკანდიდატო, 1962 წ. სადოქტორო დისერტაცია.

სხვადასხვა დროს მოღვაწეობდა ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტში, არქეოლოგიური კვლევის ცენტრში, 1952 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც 40 წლის განმავლობაში (1967-2007) სათავეში ედგა არქეოლოგიის კათედრას.

ო. ჯაფარიძის მეცნიერული შემოქმედება მეტად მდიდარია. მისი ნაშრომები უმთავრესად საქართველოსა და კავკასიის ბრინჯაოს ხანის კულტურის კვლევისადმია მიძღვნილი. არ არის შემთხვევითი, რომ ო. ჯაფარიძე აღიარებულია კავკასიის ბრინჯაოს კულტურის ერთ-ერთ ყველაზე ავტორიტეტულ მკვლევარად არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

მეცნიერის ყველა კვლევა, მონოგრაფიაა იგი თუ ცალკე სტატია, ახალი სიტყვაა ზოგადად ისტორიაში და კერძოდ არქეოლოგიაში.

ო. ჯაფარიძემ თავისი მეცნიერული საქმიანობა კოლხური კულტურის შესწავლით დაიწყო. რას ნიშნავს კოლხური კულტურა არქეოლოგების თვალით დანახული? თვით ტერმინი „კოლხური კულტურა“ პირველად აკად. ს. ჯანაშიამ გამოიყენა. ამ ტერმინის ქვეშ იგულისხმებოდა ე.წ. „ყობანის კულტურის“ სახელით ცნობილი ცენტრალური, იმიერ და ამიერკავკასიის (სამხრეთ კავკასიის) გვიანი ბრინჯაოს ხანის ძეგლები, რომელთათვის დამახასიათებელი იყო ერთგვაროვანი (თავისებური ფორმის) ბრინჯაოს ცულები. მან სწორედ კოლხური ცულები შეისწავლა. მან დაადგინა კოლხური და ყობანური ცულების კლასიფიკაცია. გაარკვია, რომ კოლხური და ყობანური კულტურები ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდება, თუმცა იმ ურთიერთობის გამო, რაც ძველად კავკასიის ხალხებს შორის არსებობდა, ზოგიერთი მსგავსებაც იყო. ნიშანდობლივია, რომ კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი მიწის დამუშავების ტიპური იარაღები (თოხი, ბარი და სხვ.) ჩრდილო კავკასიისათვის უცხო იყო. რაც შეეხება ჩრდილოეთ კავკასიას, აქაც ცნობილია სამუშაო იარაღების გარკვეული ტიპები, რომლებიც სამხრეთ კავკასიაში არ გვხვდება. ასე რომ კულტურა, რომელიც მეცნიერთა ერთ ჯგუფს ერთგვაროვნად ეჩვენებოდა (ზოგჯერ დავაც მიდიოდა, რა ეწოდებინათ მისთვის კოლხური თუ ყობანური), აღმოჩნდა ორი სხვადასხვა კულტურა. მეცნიერმა, ამავე დროს, განსაზღვრა კულტურათა არსი, მათი გავრცელების არეალი, საწარმოო ცენტრები, ქრონოლოგია და სხვ. დადგინდა, რომ კოლხური კულტურა მიწათმოქმედთა კულტურაა (უპირატესად) და მისთვის აუცილებელი იარაღებია თოხი, ბარი, წალდი და სხვ. სასოფლო-სამეურნეო იარაღები. მანვე სრულიად საფუძვლიანად აჩვენა, რომ შიდა ქართლი გვიანი ბრინჯაოს ადრინდელ საფეხურზე კოლხური კულტურის გავრცელების არეალში შედის. ამ დასასკვნს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქართველი ტომების ეთნოგენეზის კვლევისას. როგორც მეცნიერი მიიჩნევს, შიდა ქართლი ის რაიონია, სადაც და საიდანაც მომდინარეობს ქართველი ტომების კონსოლიდაცია, ხოლო ეს კონსოლიდაცია კოლხური კულტურის ბაზაზე უნდა მომხდარიყო.

ო. ჯაფარიძის ნაშრომებში შეჯამებული და განზოგადებულია მეცნიერული ცოდნა კავკასიის ადრეული და შუა ბრინჯაოს ხანის კულტურების შესახებ.

მისი შრომები კავკასიის ადრებრინჯაოს კულტურების თითქმის ყველა საკითხს მოიცავს. მან აჩვენა მტკვარ-არაქსის, ენეოლითის და ადრეული ბრინჯაოს ხანის ძეგლების ერთგვარობაც და მათ შორის არსებული სხვაობაც.

ო. ჯაფარიძემ რეალურად აჩვენა, რომ ადრეულ ბრინჯაოს ხანაში ცალკეული კულტურები ჩამოყალიბდა; რომ შიდა ქართლის ძეგლები საკმაოდ განსხვავებული არიან სომხეთის, აზერბაიჯანისა და ჩრდილო კავკასიის ძეგლებისაგან. მეცნიერმა წარმოაჩინა თითოეული მასალის ლოკალური თავისებურებები, შინაგანი დინამიკა. მანვე მოგვცა ამ ძეგლების შედარებითი და აბსოლუტური ქრონოლოგია. ო. ჯაფარიძის წამოყენებული დებულებები შესანიშნავად დაადასტურა შემდგომმა მრავალფენიანი ძეგლების გათხრებმა. მტკვარ-არაქსის კულტურა (III ათასწლეული) ფართოდ ვრცელდება თითქმის მთელს კავკასიაში. იგი სამხრეთითაც იჭრება. ო.ჯაფარიძის ვარაუდით, ამ კულტურის მატარებელ ტომებს მნიშვნელოვანი როლი უნდა შეესრულებინათ წინა აზიაშიც. მისივე აზრით, მტკვარ- არაქსის კულტურის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში განსაკუთრებული როლი ქართველურ ეთნიკურ ელემენტს უნდა შეესრულებინა.

ო. ჯაფარიძემ განიხილა აფხაზეთის დოლმენური კულტურა და საინტერესო მოსაზრებები გამოთქვა ამ კულტურის წარმომავლობისა და რაობის შესახებ. მეცნიერმა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ადრებრინჯაოს ხანის დოლმენებში აღმოჩენილი ნივთები ახლო დგას დასავლეთ საქართველოს დაბლობში აღმოჩენილ იმავე პერიოდის ძეგლებთან. წარმომავლობა კი ადგილობრივი ნეოლითური კულტურიდან უნდა იყოს.

როინ მეტრეველი, დავით მუსხელიშვილი, გრიგოლ გიორგაძე, მარიამ ლორთქიფანიძე, გიორგი მელიქიშვილი, ოთარ ჯაფარიძე, ანდრია აფაქიძე

ო. ჯაფარიძის მონოგრაფია „ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე“ მეცნიერებმა საეტაპოდ მიიჩნიეს კავკასიის ბრინჯაოს ხანის შესწავლის საქმეში. წიგნი საუნივერსიტეტო პრემიით დაჯილდოვდა. სწორედ ამ პრობლემაზე დაიცვა მან სადოქტორო დისერტაცია.

თვალსაჩინოა მისი ღვაწლი კავკასიის შუაბრინჯაოს ხანის, ე.წ. თრიალეთური კულტურის შესწავლაში. უაღრესად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა თრიალეთის ყორღანები. ძვირფასი მასალა იქნა აქ მოპოვებული. მან მიიჩნია, რომ თრიალეთის კულტურა უშუალოდაა დაკავშირებული ადრეული ბრინჯაოს კულტურასთან. დამაჯერებლად ასაბუთებს, რომ მიუხედავად თრიალეთის კულტურის მეტად გამორჩეული იერისა, იგი ბევრ საერთოს ამჟღავნებს წინარე პერიოდში კავკასიაში გავრცელებული ადრებრინჯაოს ხანის კულტურასთან. თრიალეთის კულტურა, როგორც ო. ჯაფარიძე მიიჩნევს, უნდა წარმოშობილიყო ცენტრალურ კავკასიაში (შიდა ქართლი, ქართლის ვაკე, თრიალეთი) ადრებრინჯაოს ხანის კულტურის ბაზაზე, წინააზიურ კულტურასთან შერწყმის გზით. ო. ჯაფარიძის ეს დებულება აშკარად დაადასტურა მესხეთ-ჯავახეთში წარმოებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა, სადაც მეცნიერის მიერ გამოვლენილი იქნა თრიალეთური კულტურის ახალი კერა. უაღრესად მნიშვნელოვანია საკითხი, თუ ვის ეკუთვნის თრიალეთური კულტურა. ო. ჯაფარიძე დაასკვნის, რომ რადგანაც მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეული ძეგლები უმთავრესად დამოწმებულია შიდა და ქვემო ქართლში, აქვეა დადასტურებული თრიალეთის კულტურის გავრცელების ძირითადი არეალი, ამიტომ ქართველურ ტომებს არსებითი როლი უნდა მიენიჭოს ამ კულტურების ჩამოყალიბებაში. მანვე მოგვცა თრიალეთის დიდი ყორღანების კულტურის ახალი პერიოდიზაცია. ამ პრობლემისადმი მიძღვნილი ნაშრომებისთვის მას ივანე ჯავახიშვილის სახელობის პრემია მიენიჭა.

ო. ჯაფარიძის მეცნიერული ინტერესები ეხება ანტიკური და ფეოდალური პერიოდის ძეგლებსაც. მან ა. ჯავახიშვილთან ერთად სათავე დაუდო კავკასიაში ადრესამიწათმოქმედო კულტურების შესწავლას.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ო. ჯაფარიძე საგანგებოდ იკვლევს ეთნოგენეზის პრობლემებს. მის ნაშრომში „ქართველ ტომთა ეთნიკური საკითხისათვის“, არქეოლოგიური მასალის შესწავლა-გაანალიზების საფუძველზე, ყურადღებაა გამახვილებული კავკასიაში ადამიანთა საზოგადოების ჩასახვა-ჩამოყალიბებისა და მისი განვითარების პროცესზე. სავარაუდოა, რომ კავკასიაში უძველესი ეთნიკური და კულტურული ერთობა არსებობდა, შემდგომში კი ეს ერთობა დაიშალა და კავკასიის მოსახლეობის ძირითადი ჯგუფები ჩამოყალიბდა. ოთარ ჯაფარიძის აზრით, კავკასიური ერთობის დაშლის პროცესი VI-V ათასწლეულში უნდა დამთავრებულიყო. ოთარ ჯაფარიძე იყენებს ლინგვისტურ და ანთროპოლოგიურ მონაცემებს და დასკვნის, რომ ქართველურ ტომებს ამ დროისათვის ძირითადად ამიერკავკასიის დასავლეთ და მისი ცენტრალური ტერიტორია ეკავათ.

მონოგრაფიაში ხაზგასმულია, რომ კავკასიაში III ათასწლეულში ორი დიდი კულტურა ყალიბდება — მტკვარ-არაქსისა და მაიკოპის. განხილულია ამ კულტურათა წარმომავლობის, მათი გავრცელებისა და სხვ. საკითხები. მეცნიერი მიიჩნევს, რომ ეს კულტურა ხურრი-ურარტული და ქართველური ტომებისა უნდა იყოს. იგი წინააღმდეგია ამ კულტურის მატარებლების ინდოევროპულებად გამოცხადებისა.

ო. ჯაფარიძე იმ მკვლევართა რიგშია, რომლებიც ტონს აძლევენ და მიმართულებას განსაზღვრავენ მეცნიერებაში.

P. S.

ჩვენ შევეცადეთ, მკითხველისათვის გვეჩვენებინა ორი გამოჩენილი პიროვნების, მეცნიერისა და მოღვაწის მიერ განვლილი დიდი გზა. დიახ, დიდი და მნიშვნელოვანია მარიამ ლორთქიფანიძისა და ოთარ ჯაფარიძის რთული, უანგარო სამსახური სამშობლოსათვის — ესაა მათი ცხოვრებისათვის დამახასიათებელი ნიშანი. ამ ორი ადამიანის ცხოვრება და მოღვაწეობა სანიმუშოა ყველასათვის — საქართველოს ბედზე მოფიქრალი ადამიანებისათვის. მარიამ ლორთქიფანიძისა და ოთარ ჯაფარიძის ოთხმოცდაათწლოვანი ურთიერთობა, რომელიც მტკიცე მეგობრობაშია გადაზრდილი, ნათელი მაგალითია ურთიერთგანუზომელი პატივისცემისა და სიყვარულისა. ჭეშმარიტად სამაგალითოა ეს მეგობრობა, რომელიც მათი ურთიერთდამოკიდებულების გზად და ხიდად იქცა.

აკადემიკოსი
როინ მეტრეველი

საქართველოს სუვერენიტეტის დასაცავად რუსეთს უპირისპირდებიან

საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერი განცხადებები გაკეთდა გაეროს გენერალური ასამბლეის ტრიბუნიდან. მეგობარი ქვეყნების ლიდერებმა გაეროს ტრიბუნიდან ილაპარაკეს კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების მნიშვნელობაზე და ამ ფონზე რუსეთის ძალადობრივი პოლიტიკა დაგმეს. თურქეთი, ესტონეთი, პოლონეთი, სლოვაკეთი, ლიტვა — ამ ქვეყნებმა გაეროს ტრიბუნიდან კიდევ ერთხელ გამოუცხადეს მხარადაჭერა საქართველოს.

რუსეთის მიმართ კრიტიკული იყო ლიტვის პრეზიდენტი დალია გრიბაუსკაიტე, რომლის განცხადებით, რუსეთი თავს დაესხა საქართველოს, მოახდინა ყირიმის უკანონო ოკუპაცია და პირდაპირ მონაწილეობს ომში აღმოსავლეთ უკრაინაში.

„ჩემი სიტყვების ერთ-ერთი დადასტურება რუსულ-ბელარუსული სწავლებებია. **ეს სწავლებები იმაზე მიანიშნებს, რომ კრემლი დასავლეთის მიმართ საკუთარ სიძულვილს ვერ უმკლავდება. ამ სწავლებების დროს კრემლი საკუთარ არმიას დასავლეთზე თავდასხმას ასწავლის. მოგიწოდებთ, ყურადღება მიაქციონ აღმოსავლეთ ევროპას, სადაც რუსეთი შანტაჟის, დაცინვის და აგრესიის მეთოდებს იყენებს“,** — აღნიშნა დალია გრიბაუსკაიტემ.

მსოფლიოში არსებულ კონფლიქტებზე გაამახვილა ყურადღება ესტონეთის პრეზიდენტმა კერსტი კალიულაიდმა და ამ კონტექსტში ისაუბრა უკრაინასა და საქართველოში არსებულ ვითარებაზე. როგორც კალიულაიდმა აღნიშნა, ყირიმის ნახევარკუნძული, ისევე როგორც საქართველოს ნაწილი, ოკუპირებულია.

„აღმოსავლეთ უკრაინაში სამხედრო აგრესიას მშვიდობიანი მოქალაქეები ეწირებიან, გარდა ამისა, გარდაცვლილთა შორის არიან ეუთოს სპეციალური მონიტორინგის მისიის წევრები. ყირიმის ნახევარკუნძული ოკუპირებულია, ისევე როგორც — საქართველოს ნაწილი. გარდა ამისა, კონფლიქტია დნესტრისპირეთსა და მთიან ყარაბახში“, — განაცხადა კერსტი კალიულაიდმა.

სამხრეთ კავკასიაში კონფლიქტების მშვიდობიან მოგვარებაზე ისაუბრა თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეპ ტაიპ ერდოღანმა, რომელმაც გაეროს ტრიბუნიდან საქართველოსა და აზერბაიჯანის ტერიტორიულ მთლიანობას მხარდაჭერა გამოუცხადა და აღნიშნა, რომ მთიანი ყარაბაღის, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების მოგვარება რეგიონული სტაბილურობის საფუძველია.

მეგობარი სახელმწიფოების მხრიდან გაეროს გენერალური ასამბლეის 72-ე სესიაზე საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდამჭერ განცხადებებს აფასებენ თბილისში. პარლამენტის ვიცე-სპიკერის გია ვოლსკის განცხადებით, გაეროში გაკეთებულ განცხადებებს ნუ შევხედავთ როგორც მხოლოდ ტრიბუნიდან ნათქვამ სიტყვებს, იქ მსოფლიოს დამოკიდებულება ყალიბდება.

„საერთაშორისო საზოგადოების დამოკიდებულება მსოფლიოში მიმდინარე პროცესების მიმართ მნიშვნელოვანია. ეს დამოკიდებულებას გამოხატავს იმ მწვავე თემასთან მიმართებაში, რომელიც მსოფლიოს აწუხებს და მათი შეშფოთების, კონკრეტული მოქმედების თუ პოლიტიკური სტრატეგიის რაღაც სეგმენტს წარმოადგენს. ეს არის მნიშვნელოვანი. ნუ შევხედავთ ამას როგორც მხოლოდ ტრიბუნიდან ნათქვამ სიტყვებს. მსოფლიოს დამოკიდებულება ყალიბდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში“, — განაცხადა გია ვოლსკიმ.

ანალიტიკოსების შეფასებით, იშვიათი მოვლენაა, როდესაც წამყვანი ქვეყნები საქართველოს შესახებ საუბრობენ გაეროს მაღალი ტრიბუნიდან. პოლიტოლოგი **სოსო ცისკარიშვილი** ამბობს, რომ გაეროს ტრიბუნიდან საქართველოს სახელის ხშირად მოიხსენიება ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა. მისი თქმით, მნიშვნელოვანია, როდესაც თვით თურქეთის პრეზიდენტი ეხმაურება რუსეთის მიუღებელ ქმედებებს და ამასვე აფიქსირებენ ევროპის ქვეყნები, რომლებიც სრულიად მკაფიოდ საუბრობენ აზერბაიჯანისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხზე.

„გაეროზე უფრო მაღალი ტრიბუნა მსოფლიოში არ არსებობს.საქართველოს მხადამჭერი განცხადება, რომ მხოლოდ ერდოღანს გაეკეთებინა, მაშინ ცალკე განხილვის საგანი იქნებოდა, მაგრამ როდესაც ლიტვის პრეზიდენტი საუბრობს იმაზე, რომ რუსეთი უკვე სხვადასხვა ქვეყანაზე თავდასხმის სქემებს გამოიმუშავებს, რასაკვირველია, ეს უკვე მიმანიშნებელია იმაზე, რომ რუსეთის ქმედების მიმართ ყურადღება გაიზრდება.

გაეროს ტრიბუნიდან საქართველოს პრობლემების გაჟღერება, რასაკვირველია მიანიშნებს იმაზე, რომ მიტოვებული არ ვართ, რისი განცდაც ჩვენ 2008 წელს გვაწუხებდა და როდესაც აშშ-ის დღევანდელი პრეზიდენტი სრულიად მკაფიო არის ჩვენთან დამოკიდებულებაში, ვიდრე ყოფილი პრეზიდენტი. ეს ყველაფერი რასაკვირველია, ოპტიმიზმის გარკვეულ შესაძლებლობას აძლიერებს“, — აცხადებს სოსო ცისკარიშვილი.

პოლიტოლოგი, საერთაშორისო მკვლევარი თამარ კიკნაძე განმარტავს, რომ ძალიან მნიშვნელოვანია ისეთი სოლიდური ტრიბუნიდან, როგორიც არის გაერო, საქართველოს პრობლემის გაჟღერება.

„მორალური მხარდაჭერა მივიღეთ. ვუსმენდი თურქეთის პრეზიდენტის განცხადებას, რომელმაც აღნიშნა, რომ ასეთი ტიპის პრობლემები რეგიონისთის არის საფრთხის შემცველი და საჭიროა ამის მოგვარება. ანალოგიური განცხადება გაკეთა ლიტვამ, რომელიც ჩვენი პარტნიორი და მხარდამჭერი ქვეყანაა. მაგრამ დროა, უფრო აქტიურად დაიწყოს ამ საკითხზე ლაპარაკი.

განცხადებები კარგია,მაგრამ ამას პარალელურად უნდა ქმედება. ყველა ეს ქვეყანა მაინც უწევს ანგარიშს რუსეთის სიძლიერეს. ამიტომ, ვთვლი, რომ თანამეგობრობასთან ერთად საჭირო არის დიალოგზე გასვლა და აი ამ დიალოგისა და ვაჭრობის დროს, ასეთი მხარდამჭერი განცხადებები შეიძლება ჩვენს სასარგებლოდ იყოს გამოყენებული.

მე, მომხრე ვარ იმისა, რომ დაიწყოს რუსეთთან მოლაპარაკება. ჩვენ, რომ მას არ ველაპარაკებით, ეს უფრო აწყობს რუსეთს, ვიდრე ჩვენ. მოლაპარაკებას არასოდეს არა აქვს ალტერნატივა. მოლაპარაკების პროცესში რაღაცა შანსი მაინც ჩნდება. რუსეთი ჩვენზე გაცილებით ძლიერია, დიდია და რასაც უნდა იმას აკეთებს. გარდა მორალური მხარდაჭერისა, საერთაშორისო თანამეგობრობა სათანადო წინააღმდეგობას ვერ უწევს“, — ამბობს თამარ კიკნაძე.

თამთა ძარჩავა

მელანია ტრამპს ჩაცმულობის გამო დასცინეს

აშშ პირველი ლედის ჩაცმულობამ სოციალური ქსელების მომხმარებლები გაამხიარულა. საუბარია ვარდისფერ სარამოს კაბაზე, რომლითაც ის გაეროში გამოვიდა. უჩვეულო კაბა ბევრმა ხალათად, ბევრმა კი პარაშუტად აღიქვა.

ახალი ზელანდიის პარლამენტთან მამაკაცმა თავი დაიწვა

ახალი ზელანდიის პარლამენტთან უცნობმა მამაკაცმა თავი დაიწვა. თვითმკვლელს დახმარება გამვლელებმა გაუწიეს, ცეცხლი ქურთუკებითა და წყლით ჩააქვრეს და სასწრაფო დახმარების მანქანასაც გამოუძახეს.

მძიმედ დაშავებული მამაკაცი საავადმყოფოში გადაიყვანეს. მისი მდგომარეობა კრიტიკულია.

თვითმხილველთა ჩვენებით, მამაკაცი პარლამენტთან რამდენიმე დღის განმავლობაში პლაკატით იდგა და მამებისთვის ბავშვების ჩამორთმევას აპროტესტებდა, თუმცა ყურადღება არავინ მიაქცია.

ტრამპის გამოსვლა „ძაღლის ყეფას“ შეადარეს

ჩრდილოეთ კორეის საგარეო საქმეთა მინისტრმა გაეროს გენერალურ ასამბლეაზე დონალდ ტრამპის სიტყვით გამოსვლა და ფხენიანის მისამართით გაკეთებული განცხადებები ძაღლის ყეფას შეადარა. კომენტარი თეთრი სახლის ლიდერის გამოსვლაზე ლი იონ ჰომ ჟურნალისტებთან შეხვედრისას გააკეთა.

ფხენიანის მკაცრი რეაქცია გაეროს გენერალურ ასამბლეაზე დონალდ ტრამპის გამოსვლას მოჰყვა. თეთრი სახლის ლიდერმა ჩრდილოეთ კორეის ლიდერი თვითმკვლელი მისიის მქონე „რაკეტის კაცად“ მოიხსენია და განაცხადა, რომ თუ შეერთებულ შტატებს აიძულებენ საკუთარი თავი ან მოკავშირეები დაიცვას, მას ჩრდილოეთ კორეის სრულად განადგურების გარდა სხვა არჩევანი არ ექნება.

ფეისბუქი მიწისძვრით დაზარალებულ მექსიკელებს დაეხმარება

„ფეისბუქი“ მექსიკაში მიწისძვრის შედეგად დაზარალებულთა დასახმარებლად „წითელ ჯვარში“ 1 მილიონ დოლარს გადარიცხავს. ამის შესახებ სოციალური ქსელის

დამფუძნებელმა მარკ ცუკერბერგმა განაცხადა. მისივე თქმით, „ფეისბუქი“ გაეროს ბავშვთა ფონდთან თანამშრომლობს, რათა იმ შემოწირულობებს, რომლებიც ორგანიზაციაში სოციალური ქსელის მეშვეობით ხორციელდება, არანაირი საკომისიო გადასახადი არ დასჭირდეს.

საპროტესტო აქციები კატალონიაში

მასშტაბური აქციები ბარსელონასა და რეგიონის სხვა ქალაქებშიც გაიმართა. აქციის მონაწილეებმა დამოუკიდებლობის რეფერენდუმის ორგანიზატიორთა დაკავებები გააპროტესტეს. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ჟენერალიტეტის პრეზიდენტმა კარლეს პუჩდემონმა მადრიდი აგრესიაში დაადანაშაულა და კატალონიელებს ქუჩაში გამოსვლისკენ მოუწოდა. ესპანეთის შემადგენლობიდან გასვლის საკითხზე რეფერენდუმი კატალონიაში 1 ოქტომბერს უნდა ჩატარდეს, თუმცა ოფიციალური მადრიდი აცხადებს, რომ პლებისციტის ჩატარებას არ დაუშვებს.

მოსწავლეებთან სექსუალურ კონტაქტში ედება ბრალი

არკანზასელ მასწავლებელს სამუდამო პატიმრობა ემუქრება. 25 წლის ლორენ გოლაინი არასრულწლოვნებთან სექსუალურ კავშირშია ეჭვმიტანილი. როგორც ძიებით დადგინდა, ის უფროსკლასელ ბიჭებს სექსუალური შინაარსის შეტყობინებებს უგზავნიდა, თავის ბინაში ეპატიჟებოდა და მათთან სქესობრივ ურთიერთობას ამყარებდა. დაკავებულმა მასწავლებელმა დანაშაული უკვე აღიარა.

ქსენია სობჩაკი რუსეთის პრეზიდენტი?..

BBC-ის ინფორმაციით, ცნობილი ტელეწამყვანი აქტიურად ეძებს მომავალი საარჩევნო შტაბის უფროსს.

სობჩაკმა სამსახური რამდენიმე ჟურნალისტს და მათ შორის ტელეკომპანია „დოჟდის“ გენერალურ დირექტორსაც შესთავაზა. სობჩაკის წინადადებას ჯერ არავინ დათანხმდა. როგორც BBC ამტკიცებს, სობჩაკს პრეზიდენტად კენჭისყრა კრემლიდან შესთავაზეს. პროექტი მას მოეწონა, თუმცა ვინ დააფინანსებს კამპანიას, უცნობია. თავად ქსენია სობჩაკის საპრეზიდენტო არჩევნებში შესაძლო მონაწილეობას არც უარყოფს და არც ადასტურებს.

შროდერი: ყირიმი რუსეთის შემადგენლობიდან არასდროს გავა

ყირიმი რუსეთის შემადგენლობას არასდროს დატოვებს. ამის შესახებ გერმანიის ყოფილმა კანცლერმა გერჰარდ შროდერმა ჟურნალ „სტერნისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.

„სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ: არ იქნება რუსეთში ისეთი პრეზიდენტი, რომელიც ყირიმზე უარს იტყვის,“ — აღნიშნა შროდერმა.

◎ ხელოვნებით განათლება

„ცოცხალი ლეგენდის“ სტუმრობა

სამუზეუმო მოღვაწეობის აქტუალური საკითხებისადმი მიძღვნილი რამდენიმე უაღრესად საგულისხმო ღონისძიება გაიმართა 20 და 21 სექტემბერს საქართველოს ეროვნულ მუზეუმში.

პირველი მათგანი პროექტის „ინკლუზიური განათლება საქართველოს მუზეუმებში“ პრეზენტაცია გახლდათ, რომლის მიზანია მასში ქვეყნის 21 სამუზეუმო დაწესებულების ჩართვა. აღნიშნულ 10-თვიან პროექტს მუზეუმი, ევროპის ფონრი, აბსოლუტურად ენციკლოპედიური დაწესებულება? – ესაა, ალბათ, მთავარი კითხვა, რომელზე პასუხის გაცემასაც ქალბატონი თეკლა თავის ნაშრომში ცდილობს. პრობლემის არსი კი იმაში მდგომარეობს, რომ თანამედროვე ევროპული მუზეუმები, დღიდან დაარსებისა, გარკვეულწილად ორმაგ როლს ასრულებენ. ერთი მათგანია საგანმანათლებლო ცენტრის, მეორე კი სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული იდეოლოგიის გამტარებლის ფუნქცია. ამ როლს ისინი ხაზგასმით დეკლარირებული, ნეიტრალური, მიუკერძოებელი პოზიციის მიუხედავად, დღესდღეობითაც ასრულებენ. ყოველივე ეს პარიზის ლუვრის მაგალითზეა განხილული.

ქალბატონ თეკლა იაშაღაშვილის მოხსენების ერთგვარ თემატურ გაგრძელებად შეიძლება მივიჩნიოთ მსოფლიო სამუზეუმო დარგის ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწის **ფილიპ დე მონტებელოს** ლექცია „ხელოვნების მუზეუმის დაბადება და ევოლუცია“, რომელიც მომავალ კვირას გაიმართება.

ბატონი დე მონტებელო წლების მანძილზე ჰიუსტონის სახვითი ხელოვნებისა და ნიუიორკის მუზეუმების დირექტორი იყო, ამჟამად კი ორსეს მუზეუმის სამეურვეო საბჭოს წევრი და მადრიდის პრადოს მუზეუმის საპატიო რწმუნებული, ასევე ესპანური საზოგადოების მუზეუმისა და ბიბლიოთეკის თავმჯდომარეა. 1996 წელს ნიუიორკის ღირსშესანიშნაობების კომისიამ ბატონი ფილიპ დე მონტებელო „ცოცხალ ლეგენდად“ აღიარა.

საქართველოში ვიზიტის ფარგლებში ბატონი დე მონტებელო დედაქალაქისა და მხარეების მუზეუმებს დაათვალიერებს, ასევე მათი თანამშრომლებისა და სტუდენტებისთვის საჯარო ლექციებსა და სემინარებს გამართავს.

ოთარ ტურაგელიძე.

ბრიტანელი პროფესიონალები ქართულ ღვინოს ეცნობიან

დიდი ბრიტანელი ღვინის მაგისტრი სარა ებოტი (Sarah Abbott) ქართული ღვინით დაინტერესებულ ჟურნალისტებთან ერთად საქართველოს ეწვია.

ღვინის ტურის ფარგლებში ბრიტანელი პროფესიონალები ღვინის მარნებსა და კომპანიებს კახეთში ეცნობიან. ბრიტანელ სტუმრებს შესაძლებლობა მიეცა დაეგემოვნებინათ შემდეგი კომპანიების ღვინოები: „თელავის ღვინის მარანი“, GWS, „მუკადო ვაინს“, „ალავერდის მონასტრის მარანი“, „ვიტა ვინეა“, „ფაფარი ველი“, „კახა ჭოტიაშვილის მარანი“, „ხოხბის ცრემლები“.

კახეთში გამგზავრებამდე, სარა ებოტი ქართული ღვინის კომპანიების წარმომადგენლებს თბილისში შეხვდა. მან შეხვედრის მონაწილეებს დიდ ბრიტანეთში ღვინის საფასო პოლიტიკა, ღვინის შეფუთვასა და ხარისხთან დაკავშირებული საკითხები გააცნო, რაც ქართული ღვინის ამ ბაზარზე დამკვიდრებას შეუწყობს ხელს.

ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის განცხადებით, ქართული ღვინის მწარმოებლებთან თანმიმდევრული და მიზანმიმართული თანამშრომლობით, შესაძლებელია ინგლისში ქართული ღვინის ექსპორტის მზარდი ტენდენციის შექმნა. ღვინის ეროვნულმა სააგენტომ დიდ ბრიტანეთში ქართული ღვინის პოპულარიზაციისა და მარკეტინგული კამპანიის განსახორციელებლად, ადგილობრივ ბაზარზე ღვინის მაგისტრის სარა ებოტის მარკეტინგული კომპანია „Swirl Wine Group“ შეარჩა.

მოსამართლემ ფადი ასლის მხრიდან შელახული პატივი და ღირსება სასამართლოს მეშვეობით აღიდგინა

პირველად მართლმსაჯულების ისტორიაში, მოსამართლემ ბიზნესმენის მხრიდან შელახული პატივი და ღირსება სასამართლოს მეშვეობით აღიდგინა, – ამის შესახებ განცხადებას თბილისის საქალაქო სასამართლო ავრცელებს.

„თბილისის საქალაქო სასამართლომ პრეცედენტული გადაწყვეტილება მიიღო. პირველად მართლმსაჯულების ისტორიაში, მოსამართლემ ბიზნესმენის მხრიდან შელახული პატივი და ღირსება სასამართლოს მეშვეობით აღიდგინა.

მოპასუხე ფადი ასლის დაევალა სასამართლოს მიერ დადგენილი ფორმით, მოსამართლის პატივისა და ღირსების აღდგენის მიზნით ცნობის გამოქვეყნება სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ, იმ მედია-საშუალებებში სადაც სადავო ინფორმაცია მოპასუხის მხრიდან გაჟღერდა. სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა სარჩელი და მორალური ზიანის ასანაზღაურებლად მოთხოვნილი – 20 ათასი ლარის ნაცვლად, ფადი ასლის 3 ათასი ლარის გადახდა დააკისრა. მოსამართლე ვლადიმერ კაკაბაძემ სარჩელი მას შემდეგ აღძრა, რაც ბიზნესმენმა ფადი ასლიმ მოსამართლე კორუფციაში დაადანაშაულა. სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტის მხრიდან მოსამართლემ შელახული ღირსება აღიდგინა“, – ნათქვამია განცხადებაში.

ბათუმის მოსახლეობის ნაწილი ატრაქციონების აღებას ითხოვს

ბათუმში მოსახლეობის ნაწილმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის განკუთვნილი ატრაქციონების აღება მოითხოვა.

მათი განცხადებით, ატრაქციონებზე მათი ბავშვები სხდებიან და ზიანდებიან. ბათუმის მერიამ შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელა და მოსახლეობას მოუწოდა პატივი სცენ შშმ ბავშვების უფლებებს.

„მსგავსი ტიპის მოთხოვნა და დამოკიდებულება დისკრიმინაციულია შშმ ბავშვების მი-



მართ. ბათუმის მერია მოუწოდებს მშობლებს, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ შვილებს ატრაქციონებით სარგებლობისას და შეძლებისდაგვარად უზრუნველყონ ატრაქციონების მიზნობრივად გამოყენება..

ადაპტირებულ ატრაქციონებზე განთავსებულია სპეციალური ნიშანი, რითაც ხაზგასმულია, რომ ატრაქციონები განკუთვნილია შშმ ბავშვებისთვის. ამის მიუხედავად, ატრაქციონის გამოყენება არამიზნობრივად ხდება. ვფიქრობ, აუცილებელია მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება და მათთვის მეტი ინფორმაციის მიწოდება. ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ შშმ პირთა უფლებების დამცველ ორგანიზაციებთან ერთად ჩავატაროთ საინფორმაციო კამპანია და მოსახლეობას მივაწოდოთ მეტი ინფორმაცია ცნობიერების ამაღლების მიზნით“, – აცხადებენ ბათუმის მერიის პრესსამსახურში.

პეკინის ქუჩაზე საავტომობილო მოძრაობა გაცალმხრივდება, საზოგადოებრივი ტრანსპორტი კი ორმხრივად იმოძრავებს

დედაძალაძის მერის დავით ნარმანიას ინფორმაციით, ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ პეკინის ქუჩაზე საავტომობილო მოძრაობის გაცალმხრივება გადაადგილების კუთხით ქალაქში დაბრკოლებას არ ქმნის და რეაბილიტირებულ პეკინზე საავტომობილო მოძრაობა არსებულ, ცალმხრივ რეჟიმში გაგრძელდება.

რაც შეეხება საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობას, დავით ნარმანიას თქმით, 23 სექტემბრიდან, პეკინის, კოსტავასა და შარტავას ქუჩებზე საზოგადოებრივი ტრანსპორტი ორმხრივად იმოძრავებს.

„ვიცი, რომ პეკინის ქუჩის გაცალმხრივება საზოგადოების ყურადღების ცენტრშია და გეტყვით, რომ ამ ეტაპზე, ქუჩაზე მოძრაობა არსებულ რეჟიმში გაგრძელდება, რადგანაც ჩვენმა დაკვირვებამ და კვლევამ აჩვენა, რომ მოცემულ სქემას რაიმე სახის დაბრკოლება ქალაქში გადაადგილების კუთხით არ შეუქმნია“, – განაცხადა დედაქალაქის მერმა.

საოჯახო ურთიერთობა

საოჯახო ურთიერთობა ძალიან რთულია; იგი დაკავშირებულია ადამიანის შინაგან სამყაროსთან, პირად განცდებთან, ინტიმურ ცხოვრებასთან და ა.შ. ოჯახის წევრთა შორის არსებული ურთიერთობები არ არის უბრალოდ ერთად მცხოვრებ ადამიანთა დამოკიდებულება, მისი წევრები არა მხოლოდ ყოფითი პრობლემებითა და საკითხებით არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, არამედ ეს ურთიერთობები თითოეული მათგანისთვის წარმოშობს გარკვეულ იურიდიულ შედეგებს, რაც თავისთავად მოითხოვს სამართლებრივ მოწესრიგებას.

რა არის ოჯახის შექმნის საფუძველი? არის თუ არა აუცილებელი ქორწინების სახელმწიფო ორგანოში რეგისტრაცია და თუ აუცილებელია, რამდენი წლის ასაკიდან ეძლევათ ახალგაზრდებს დაქორწინების უფლება? არსებობს თუ არა კანონიერი საფუძველი საქორწინო ასაკის შემცირებისათვის? წარმოშობს თუ არა მეუღლეთა შორის კანონიერ უფლება-მოვალეობას ჯვრისწერა? რა შეიძლება ჩაითვალოს ქორწინების დამაბრკოლებელ გარემოებად? ასეთია ის ძირითადი კითხვები ოჯახის შექმნის შესახებ, რაც ჩვენი გაზეთის მკითხველებს აინტერებთ.

ქორწინება – ეს არის ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირი, რომელიც მიზნად ისახავს ოჯახის შექმნას. ქორწინება ოჯახის შექმნის ძირითადი საფუძველია, თუმცა არა ერთადერთი. ოჯახი შეიძლება წარმოიშვას დაუქორწინებელი ქალის მიერ ბავშვის დაბადების, შვილად აყვანისა და კანონით გათვალისწინებულ სხვა იურიდიული ფაქტების არსებობის შემთხვევაშიც.

ჯერ კიდევ 1944 წლის 8 ივლისიდან მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს მოქალაქეთა კანონიერ უფლება-მოვალეობებს წარმოშობს მხოლოდ შესაბამის სახელმწიფო ორგანოში რეგისტრირებული ქორწინება. ასეთი ორგანო დღეისათვის გახლავთ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიული სამსახურები. ცხადია, ქორწინება უნდა ემყარებოდეს ურთიერთსიყვარულს, პატივისცემას და იმ დიდი პასუხისმგებლობის გააზრებას, რომელსაც ოჯახის შექმნა გულისხმობს.

ქორწინების რეგისტრაციის გარეშე წლების განმავლობაში თუნდაც ერთ ოჯახად ცხოვრების ფაქტი მეუღლეთა შორის კანონიერ უფლება-მოვალეობას არ წამოშობს. ამის ცოდნა ძალიან მნიშვნელოვანია. მართალია, ძალზე სასიამოვნო ფაქტია უკანასკნელ წლებში ჩვენი ახალგაზრდების უდიდესი ნაწილის შემობრუნება ეკლესიისკენ და მათი მისწრაფება, ჯვარი დაიწერონ შეუღლების დროს (ჩემი აზრით, ეს მეტად საჭირო და ამაღლებული რიტუალია და ყველა მართლმადიდებელი, რომელიც ქორწინდება, ამ დიდ მადლს აუცილებლად უნდა ეზიაროს), მაგრამ ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ დღეს მოქმედი კანონმდებლობით, ჯვრისწერას, ანუ მხოლოდ რელიგიური წესით გაფორმებულ ქორწინებას სამართლებრივი მნიშვნელობა არა აქვს და შესაბამის იურიდიულ უფლება-მოვალეობებს არ წარმოშობს.

დაქორწინებისათვის აუცილებელია: საქორწინო ასაკი და დასაქორწინებელ პირთა თანხმობა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1108-ე მუხლის შესაბამისად, 1997 წლის 25 ნოემბრიდან საქორწინო ასაკად (როგორც გოგონების, ისე ვაჟებისათვის) დაწესებულია თვრამეტი წელი. გამონაკლის შემთხვევებში თექვსმეტი წლის ასაკიდან დაქორწინება დაიშვება მშობლების ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის წინასწარი წერილობითი თანხმობით.

რუბრიკას უძღვება „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი
ირინე ღლონტი
ტელ.: 595051177; 593539909

თანხმობაზე მშობლების ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის უარის შემთხვევაში – საპატიო მიზეზების არსებობისას, დასაქორწინებელ პირთა განცხადების საფუძველზე, დაქორწინების ნებართვა შეუძლია გასცეს სასამართლომ. მაგალითად, სასამართლოს მიერ ერთ-ერთ ასეთ საპატიო მიზეზად ჩაითვლება ქალის ორსულობა ან ბავშვის დაბადება. ასეთ შემთხვევაში არსებული საოჯახო ურთიერთობის უსწრაფესად მოგვარება შეესაბამება როგორც სახელმწიფოს, ისე ამ ახალგაზრდა ოჯახის ინტერესებს.

ნიშნობა არის დასაქორწინებელ პირთა წინასწარი თანხმობა ქორწინებაზე. მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით ნიშნობა არ წარმოშობს შემდგომი დაქორწინების ვალდებულებას. ამიტომ იგი არ შეიძლება იყოს სასამართლოში იძულებითი დაქორწინების მოთხოვნის შესახებ სარჩელის წარდგენის საფუძველი. დაუქორწინებლობის შემთხვევაში ნიშნობასთან დაკავშირებული საჩუქრები მხარეებს უკან უბრუნდებათ. ამას მოითხოვს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1109-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

ქორწინების რეგისტრაცია ხდება შემდეგნაირად: დაქორწინების მსურველნი განცხადებით მიმართავენ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურს, სადაც მიუთითებენ დაქორწინების თარიღს. მოქმედი კანონის თანახმად, დაქორწინება შეიძლება მოხდეს განცხადებით მიმართვის დღესვე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა აღნიშნული შეუძლებელია განცხადებათა სიმრავლის გამო. დაქორწინების მსურველი პირების განცხადება ძალაშია მისი შეტანიდან 2 თვის განმავლობაში.

ისეთ განსაკუთრებულ გარემოებათა დროს, როგორიცაა ბავშვის დაბადება, ერთ-ერთი მხარის სიცოცხლისათვის რეალური საფრთხე და სხვა მსგავსი გარემოებები, ქორწინების რეგისტრაცია აუცილებლად უნდა გაფორმდეს განცხადების შეტანის დღესვე.

განცხადებაში ქორწინების რეგისტრაციის შესახებ, მხარეებმა უნდა მიუთითონ იმის თაობაზე, რომ არ არსებობს ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებანი, რომ იცნობენ ერთმანეთის ოჯახურ მდგომარეობას, მერამდენე ქორწინებაა ეს მათთვის და ჰყავთ თუ არა შვილები. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს შესაბამისი სამსახური მოვალეა გააცნოს მხარეებს ქორწინების რეგისტრაციის წესი და პირობები, განუმარტოს მეუღლეთა და მშობელთა უფლება-მოვალეობანი, გააფრთხილოს ისინი, რომ პასუხს აგებენ ქორწინების დამაბრკოლებელ გარემოებათა დაფარვისთვის. ეს ორგანოები ვალდებული არიან დარწმუნდნენ, რომ არ არსებობს ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებანი, რომ მხარეებისათვის ცნობილია ერთმანეთის ჯანმრთელობისა და ოჯახური მდგომარეობის შესახებ.

ქორწინების რეგისტრაცია ტარდება საზეიმო ვითარებაში ორი (ან მეტი) სრულწლოვანი მოწმის თანდასწრებით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1116-ე მუხლის თანახმად, მოითხოვება, რომ დასაქორწინებელმა პირებმა ქორწინების რეგისტრაციისას უნდა განაცხადონ, რომ მათ იციან ერთმანეთის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

საქართველოში უცხოელთა დაქორწინებისათვის აუცილებელია მათი ქვეყნის სათანადო ორგანოს ცნობა, რომ არ არსებობს ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებანი. ეს წესი არ ვრცელდება მოქალაქეობის არმქონე პირებზე და იმ სახელმწიფოს მოქალაქეთა მიმართ, რომლებიც არ გასცემენ მსგავს ცნობებს.

სახელმწიფო ორგანოების უარი ქორწინების რეგისტრაციაზე შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

ხელმეორედ ქორწინების შემთხვევაში პირი ვალდებულია ქორწინების რეგისტრაციისას წარადგინოს მოწმობა წინა ქორწინების შეწყვეტის შესახებ. თუ ერთ-ერთი მეუღლე გარდაიცვალა, დარჩენილი მეუღლის ახალი ქორწინების რეგისტრაციისთვის აუცილებელია მეუღლის გარდაცვალების მოწმობის წარდგენა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1120-ე მუხლის თანახმად, დაქორწინება არ დაიშვება:

„ა. იმ პირთა შორის, რომელთაგან თუნდაც ერთი დაქორწინებულია სხვასთან;

ბ. პირდაპირ აღმავალი ან დამავალი შტოს ნათესავებს შორის;

გ. ბიოლოგიურ და არაბიოლოგიურ და-ძმას შორის;

დ. მშვილებელსა და ნაშვილებს შორის;

ე. იმ პირებს შორის, რომელთაგან თუნდაც ერთი სულით ავადმყოფობის ან ჭკუასუსტობის გამო სასამართლოს მიერ ცნობილია ქმედუუნაროდ“.

როგორც ვხედავთ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ კრძალავს ქორწინებას ახლო ნათესავებს (მაგალითად, ბიძაშვილ-მამიდაშვილებს შორის), თუმცა საბედნიეროდ, ქორწინების ასეთი შემთხვევები ქართველ საზოგადოებაში პრაქტიკულად არ ხდება (განსხვავებით დასავლეთ ევროპისაგან, სადაც მსგავსი ქორწინებები არც თუ იშვიათია). ასევე საბედნიეროდ, ერთი სქესის წარმომადგენლებს შორის ქორწინებას საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობა საერთოდ არ ცნობს.

საქართველოს „მსოფლიო ეკონომიკური თავისუფლების“ რეიტინგის ერთ-ერთი ავტორი სტუმრობს

თბილისში ფრეიზერის ინსტიტუტის (Fraser Institute) „მსოფლიო ეკონომიკური თავისუფლების“ რეიტინგის ერთ-ერთი ავტორი, პროფესორი რობერტ ლოუსონი იმყოფება, რომელმაც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში გუშინ სამუშაო შეხვედრა გამართა. შეხვედრას ასევე ახალი ეკონომიკური სკოლის პრეზიდენტი პაატა შეშელიძე ესწრებოდა.

სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა უწყების – ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, ფინანსთა და იუსტიციის სამინისტროების, ეროვნული ბანკის, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, მთავრობის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა. ეკონომიკის სამინისტროში გამართული შეხვედრის მიზანი საქართველოს მთავრობის მიერ დაგეგმილი რეფორმების განხილვა, ასევე „მსოფლიო ეკონომიკური თავისუფლების“ რეიტინგში საქართველოს სარეიტინგო პოზიციის მიმოხილვა იყო. პროფესორი რობერტ ლოუსონი საქართველოში რამდენიმედღიანი ვიზიტით ჩამოვიდა.

ათასწლეულის გამოწვევის ფონდი და რეაბილიტირებული სკოლები

ათასწლეულის გამოწვევის ფონდის საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის ფარგლებში 2016-2017 წლებში სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით აღიჭურვა 30 საჯარო სკოლა მცხეთა-მთიანეთის, შიდა ქართლის, სამცხე-ჯავახეთის, რაჭა-ლეჩხუმის რეგიონებში. ჯამში რეაბილიტაცია ჩაუტარდა 70 ათას კვადრატულ მეტრ ფართს და სასწავლო გარემო გაუმჯობესდა 10 ათასზე მეტი მოსწავლისთვის.

პარალელურად მიმდინარეობს 30 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია კახეთის, ქვემო ქართლის და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში. ჯამში რეაბილიტაცია უტარდება 62 ათას კვადრატულ მეტრ ფართს. სასწავლო გარემო გაუმჯობესდება 13 ათასი მოსწავლისთვის.

30 სკოლიდან ერთ-ერთს დღეს სრულად რეაბილიტირებულ ონის საჯარო სკოლას ამერიკის ელჩი საქართველოში, მისი აღმატებულება იან კელი, ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის საქართველოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელი ჯენერ ედელმანი და განათლების და მეცნიერების მინისტრის მოადგილე თეიმურაზ მურღულია საზეიმოდ გახსნიან. ათასწლეულის გამოწვევის ფონდის საჯარო სკოლების რეაბილიტაციის პროექტი ხორციელდება ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის (MCC) მეორე კომპაქტის დაფინანსებით. პროექტის მიზანია საჯარო სკოლების სასწავლო გარემოს გაუმჯობესება, ინფრასტრუქტურის სრული რეაბილიტაცია, თანამედროვე სამეცნიერო ლაბორატორიებით აღჭურვა და მოვლა-პატრონობის სისტემის შემუშავება.

გამოსათხოვარი

ის თავისი საოცარი ხმით ჩვენთან დარჩა...

ამიერიდან ზურაბ სოტკილავას სახელი გამორჩეულ ადგილს დაიკავებს მსოფლიოს საოპერო ხელოვნების ვარსკვლავთა ზეციურ პანთეონში

მისი სცენაზე გამოჩენა ყოველთვის დიდი ზეიმი იყო, რადგან უდიდეს სიამოვნებას და სიხარულს ანიჭებდა საზოგადოებას. მისი სიმღერა აერთიანებდა და ერთსულად აქცევდა მსენელს. იშიათია მომღერალი, რომელიც ერთნაირი ოსტატობით ასრულებს როგორც კლასიკურ მუსიკას, ასევე ხალხურ სიმღერებს. ვისაც **ზურაბ სოტკილავას** მიერ შესრულებული, ლირიზმით სავსე მეგრული სიმღერები მოუსმენია, მის დავიწყებას ვერასდროს შეძლებს. ამ სიმღერებში საოცარ ემოციას და მშობლიური ქვეყნისადმი უდიდეს სიყვარულს აქსოვდა. ეს განწყობა შესანიშნავად გამოხატა ცნობილმა საოპერო რეჟისორმა ბორის პაკროვსკიმ: „გინახავთ იგი როგორ მღერის საქართველოზე? განა შეიძლება იმ წამს ჰპოვოთ უფრო ბედნიერი ადამიანი და ქვეყანა უფრო წარმტაცი?“

სწორედ ამ წარმტაცი ქვეყნისა და მშობლიური კუთხის მადლიერების გამოვლენა იყო 2007 წლის ივნისში ხობის მე-3 საერთაშორისო ფესტივალზე „სიმღერა სამეგრელოზე“ საქართველოსა და სსრ კავშირის სახალხო არტისტის ზურაბ სოტკილავას 70 წლის იუბილის აღნიშვნა. გამოიცა საიუბილეო ალბომი 4 კომპაქტდისკით, მათ შორის ოთარ თაქთაქიშვილის „მეგრული სიმღერები“, შეიქმნა დოკუმენტური ფილმი. სამეგრელოში ქართულ მუსიკალურ საზოგადოებასთან ერთად საიუბილეო დღეებში მონაწილეობდა მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტთა კოჰორტა ლეგენდარული ელენე ობრაზცოვას ხელმძღვანელობით.

არასდროს დაგვავიწყდება კოლხი მასპინძლების ყურადღებით მოხიბლული სტუმრების შემყურე ბატონი ზურაბის სიამაყითა და კმაყოფილებით სავსე ღიმილი. ზურაბ სოტკილავას იუბილე ხობში სიმღერისა და სიყვარულის ნამდვილ დღესასწაულად იქცა. სამეგრელო მოეფერა და გულში ჩაიკრა საამაყო შვილი. ეს დამოკიდებულება ყველაზე კარგად აისახა ფესტივალზე სტუმრად მყოფი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის სიტყვებში: „დღეს ხობში მთელი საქართველოს მუსიკალური ზეიმია და ეს დღე გვაჩუქა ზურაბმა. იგი ქართული გენის ამოფრქვევაა და ეს ჩანს მის სულიერ სამყაროში“.

სწორედ, მდიდარი სულიერი სამყარო განსაზღვრავდა ზურაბ სოტკილავას პიროვნულ თვისებებს. ხშირად იმეორებდა თავისი პედაგოგის დავით ანდღულაძის შეგონებას: „მთავარია, იყო ადამიანი და მეორე ამოცანაა — გახდე მომღერალი“.

იგი იყო ღირსეული ადამიანი და დიდი მომღერალი, რომელიც ხობის კულტურის სახლის სცენაზე გასასვლელად ისეთი მღელვარებით ემზადებოდა, როგორც მსოფლიოს საუკეთესო თეატრების სცენაზე სიმღერისას. ჩვენთვის ყოველთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება ხობის ფესატივალის მისეულ შეფასებას: „ეს ფესტივალი თავის საქმეს აკეთებს. აღდგა დაკარგული მეგრული სიმღერები, ჩაიწერა დისკები, გამოიცა წიგნები. როგორც ხელოვანი და მომღერალი მადლობელი ვარ ფესტივალის ორგანიზატორების ამ მამულიშვილური წამოწყებისთვის“.

მადლობა თქვენ ბატონო ზურაბ იმ თანადგომისა და გულისხმიერებისთვის, რასაც მუდმივად ვგრძნობდით ხობის ფესტივალის მიმართ.

ხობის საერთაშორისო ფესტივალის
— „სიმღერა სამეგრელოზე“
საორგანიზაციო ჯგუფის სახელით
გოდერძი ბუკია (ჯგუფის ხელმძღვანელი), ანზორ ერქომაიშვილი, გომარ სიხარულიძე, მარინა მიქაძე, ზურაბ ერქვანია, ბადრი ბერაია, რალა ჩემია

ზურაბ სოტკილავას ხსოვნას!

განუსაზღვრელად დიდია მსოფლიოში აღიარებული ტენორის, არაერთი პრემიის ლაურეატის, ბოლონიის უძველესი სამუსიკო აკადემიის საპატიო წევრის **ზურაბ სოტკილავას** გარდაცვალებით გამოწვეული მწუხარება.

შეუძლებელია, არ ითქვას, რომ ცნობილი საოპერო პარტიების ქართული ფოლკლორის უბადლო შემსრულებელი უჩვეულო პიროვნული ხიბლით, თავმდაბლობითა და მოკრძალებით გამოირჩეოდა.

სოხუმში დაიბადა. თავად ამბობდა, რომ სწორედ ამ ქალაქში ფოლკლორზე და ქალაქურ სიმღერებზე გაიზარდა, პირველი საოპერო კონცერტიც აქ, თბილისის ოპერის თეატრის გასტროლებისას მოისმინა. არაერთხელ გადატყავებია მუხლიც სოხუმის მინდვრებზე ფეხბურთის თამაშისას, რასაც ყოველთვის ზღვის პირას გასეირნება მოსდევდა.

ამიტომაც განიცდიდა ძალიან სოხუმში, საერთოდ, აფხაზეთში მოსალოდნელ განსაცდელს. ომის დაწყებამდე ორი თვით ადრე, სოხუმელებს უკანასკნელად უმღერა და ლამის დაუჩოქა, გევედრებით, მეგობრულად იცხოვრეთო!

ეს ვერ მოხერხდა!

ამის შემდეგ პროტესტის ნიშნად იქ არ ჩასულა, არადა, მშობლების საფლავთან მისვლაზე ოცნებობდა. მაგრამ გვწამს და გვჯერა, რომ ამიერიდან მაინც მისი სული ასე მონატრებული მშობლებისა და ახლობლების სულს ზეციურ საქართველოში შეუერთდება!

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო

არდავიწყება

ხსოვნის სილრმე და მონატრების სიმაღლე

რომან გვენცაძე – თავისი დროის რაინდი

დღეს რომან გვენცაძის ორმოცია. თავისივე ნახელკეთილარ ნარიყალას ერთ-ერთ ძველისძველ კედელთან ჭირისუფლებთან ერთად უამრავი თბილისელი მოიყრის თავს, რათა კუთვნილი პატივი მიაგონ თავისი დროის ჭეშმარიტ რაინდს, რომელმაც უანგაროდ შესწირა თავისი თავი ქვეყნისა და თანამოქალაქეთა სიმშვიდეს.

სანამ ნარიყალას წმინდა მიწას მიაბარებდნენ, ქართული პრესის ფურცლებზე არაერთმა მეგობარმა და საქართველოს შინაგან საქმეთა თითქმის ყველა ვეტერანმა დიდი გულისტკივილითა და ალალი კაცური ცრემლით დაიტირა რომან გვენცაძე, რომელმაც, ვეტერანებისსავე თქმით, უდიდესი გავლენა იქონია გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების ცნობილ მოვლენებზე. იგი იყო უმაღლესი კლასის ოპერატიული მუშაკი, ეტალონი, სისხლის სამართლის სამძებროს გამორჩეული პროფესიონალი.

გარდაცვალების დღეებში ბევრი დაიწერა რომან გვენცაძის დიდ მამულიშვილობასა და ვაჟკაცობაზე და ისიც სწორად ითქვა ნარიყალაზე გაჭრილ სამარესთან, რომ რომან გვენცაძის სახელის უკვდავსაყოფად ახლა სათანადო სტრუქტურებმა უნდა იზრუნონ იმაზე, თუ როგორ უნდა იქცეს წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის ეს ადგილი შინაგან საქმეთა ორგანოს მუშაკთა მომავალი თაობებისათვის სიმბოლოდ იმისა, თუ როგორ ფასდებოდა ის შრომა, რომელიც არცთუ იშვიათადაა დაკავშირებული თავდადებასა და სიცოცხლისთვის საშიშ რისკთანაც კი.

და ნამდვილად უპრიანი იქნება დღეს შესრულებული ორმოცის გამო ისევ თანამებრძოლთა გამოსამშვიდობებელი სიტყვების გახსენება:

...შენ ის კაცი იყავი, ქვეყნის სიმშვიდეს სანთლებს რომ უნთებდი, მაშინაც კი, როცა თავზე სიკვდილის აჩრდილი გედგა. სამაგიეროდ, სილამაზის, ვაჟკაცობის, რაინდობის ღმერთმა მოგძებნა და თავად აუნთო სანთელი შენი სულის მოფარფატე მტრედებს. იმ ქვეყნად ვის რა წაუღია საგზლად სახელის და გვარის გარდა. ამ სახელს სიყვარული ან სიძულვილი ჰქვია, თქვენ კი უზომო სევდა, უზომო სიყვარული გაგაცილებთ ამ გზაზე. ეს სიყვარული კი ცივი სამარის კედლებს გაგითბობთ...

დარწმუნებული ვართ, ძვირფასი რომან გვენცაძის ხსოვნის თვალჩაუწვდენელ სიღრმესა და ასევე მონატრების თვალაუწვდენელ სიმაღლეში.

მეგობრები

შეჩერდი, ნამო!

ზურაბ სოტკილავა, კონცერტმაისტერი მაია წულუკიძე და საქართველოს სახალხო არტისტი დავით ანდღულაძე.

ხაჩატურ ვარშანიანის არქივიდან

ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილს ინდოეთიდან 23 სექტემბერს ჩამოაბრძანებენ!

ამის შესახებ გუშინ ყოვლადწმინდა სამების საკათედრო ტაძარში პატრიარქის ქადაგების დაწყებამდე ინფორმაცია არქიდიაკონმა დემეტრე დავითაშვილმა წაიკითხა. მისი თქმით, თბილისის აეროპორტიდან სიწმინდეს მუზეუმში გადააბრძანებენ, 24 სექტემბერს, წირვის დროს კი სამების ტაძარში მიაბრძანებენ, სადაც წმინდა დედოფლის პარაკლისი შესრულდება. ხალხს ექნება საშუალება, მიემთხვიონ სიწმინდეს. 25 სექტემბერს ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილს კახეთში ალავერდის ტაძარში გადაასვენებენ, რათა ქეთევანობის დღესასწაულზე, 26 სექტემბერს მლოცველებმა იქ სცენ თაყვანი, შემდეგ კი სიწმინდე საქართველოს სხვა ეპარქიებსაც მოილოცავს.

ახალი გზა გერგეტის სამებისკენ

საავტომობილო გზების დეპარტამენტი, ყაზბეგის მუნიციპალიტეტში სტეფანწმინდა-სამების ეკლესიასთან მისასვლელი საავტომობილო გზის 5.6 კმ-იანი მონაკვეთის სამშენებლო სამუშაოებს ახორციელებს.

პროექტის ფარგლებში ხორციელდება ცემენტ-ბეტონის საფარის, წყალგამტარი მილების, საყრდენი კედლების, ავტომობილების გასაჩერებელი მოედნებისა და გზის კეთილმოწყობის სამუშაოები, ასევე მოხდება საგზაო ნიშნების მოწყობა და გზის ჰორიზონტალური მონიშვნა.



პროექტის დასრულების შემდეგ, ტურისტები, ადგილობრივი მოსახლეობა და მომლოცველები შეძლებენ იმოძრაონ განახლებული და კომფორტული გზით, ნაცვლად გრუნტოვანი, დაზიანებული გზისა.

სამუშაოები მიმდინარე წლის მაისში დაიწყო და 2018 წლის შემოდგომაზე დასრულდება. პროექტს სახელმწიფო ბიუჯეტი აფინანსებს და მისი ღირებულება 7 793 854 ლარია.

გერგეტის ყოვლადწმინდა სამების ტაძარი XIV საუკუნის ძეგლია და განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ტურისტების მხრიდან.

ტურისტული მარშრუტების მარკირება აჭარაში

აჭარაში ტურისტული მარშრუტების მარკირება მიმდინარეობს. აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის ტურისტული პროდუქტების საagენტო ნიშნულებს ამჟამად, ეროვნულ პარკებსა და დაცულ ტერიტორიებამდე მისასვლელ ცენტრალურ გზებზე ამონტაჟებს. მათ შორისაა კინტრიშის ეროვნული პარკამდე, ქობულეთის დაცულ ტერიტორიამდე, მტირალასა და მაჭახელას ეროვნულ პარკებამდე არსებული გზის მონაკვეთი, რომლის სრული მარკირებაც მიმდინარეობს.

2017 წელს, ტურისტული პროდუქტების განვითარების საagენტომ ჯამში 50-ზე მეტი მანიშნებელი 10 ტურისტული მარშრუტის მიმართულებით განათავსა. მათ შორის ისეთ მარშრუტებზე, სადაც საერთოდ არ არსებობდა რაიმე სახის მანიშნებლები. ესენია მწვანე ტბის წრიული მარშრუტი და ქედის მუნიციპალიტეტში არსებული მერისისა და ზენდიდის ტურისტული მარშრუტები. ნიშნულები ასევე დაემატა გობრონეთის, მაჭახელას, კურორტ გოდერძისა და სოფ. დანისპარაულის, ასევე ფრინველებზე დაკვირვების მარშრუტებს.

წლის ბოლომდე დაგეგმილია მუნიციპალიტეტების ცენტრებში არსებული აჭარის ტურისტული რუკების განახლებაც.

ლიმონათი სახელად „ჯონ ლემონი“ აღარ გაიყიდება

პოლონური კომპანია სახელწოდებით „Mr. lemonade Alternative Drinks“, რომელიც წლების განმავლობაში აწარმოებდა გაზიან ტკბილ სასმელს სახელწოდებით „John Lemon“, რომლის სახელი ასოცირდებოდა ლეგენდარულ ჯონ ლენონთან, ამიერიდან წარმოებას შეწყვეტს.

საქმე იმაშია, რომ ლენონის ქვრივმა იოკო ონომ კომპანიას სასამართლოში უჩივლა საავტორო უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით და მან ეს პროცესი მოიგო.

ლიმონათი „ჯონ ლემონი“ მთელი ევროპის მასშტაბით იყიდებოდა.

იოკო ონოს ადვოკატებმა ზარალის სახით, პროდუქტის გამოშვების ყოველ დღეზე 5000 ევრო, ხოლო თითოეულ გაყიდულ ბოთლზე 500 ევროს გადახდა მოითხოვეს.

რობერტ დენირო ბიზნესს აფართოებს

საერთაშორისო სასტუმროების ქსელი „Nobu“ , რომლის მფლობელიც გახლავთ ლეგენდალური მსახიობი რობერტ დენირო და ცნობილი იაპონელი შეფ-მზარეული ნობუ მატსუხისა სულ მალე ბარსელონაში რიგით მე-13 სასტუმროს გახსნიან.

მათ სულ ახლახან გააფორმეს ხელშეკრულება სასტუმრო „Grand Hotel Torre Catalonyc“-თან, რომელსაც ისინი მალე ლუქსის კლასის სასტუმროდ აქცევენ.

„Nobu“-ს კიდევ ერთი ესპანური სასტუმრო იბიცაზე აქვს, ხოლო ბარსელონას შემდეგ ქალაქ მარბელაშიც აპირებენ ქსელის გაფართოებას.

ასეთი დონის სასტუმროს გახსნა, რომელშიც 250 ნომერი და ბოლო სართულზე საოცარი ხედებით რესტორანი განთავსდება, კიდევ უფრო გააუმჯობესებს კატალონიის დედაქალაქის იმიჯს.

„ტერმინატორის“ ვარსკვლავი 25 წლის შემდეგ კვლავ გადასალებ მოედანს დაუბრუნდა

60 წლის ლინდა ჰამილტონი, რომელმაც ითამაშა სარა კონორის როლი კინოეპოპეა „ტერმინატორის“ პირველ და მეორე ეპიზოდში, 25-წლიანი პაუზის შემდეგ ისევ ამ როლზე დაამტკიცეს.

ახალ მე-6 სერიაში დაბრუნდა აგრეთვე მთავარი როლის შემსრულებელი არნოლდ შვარცენეგერი, აგრეთვე პირველი ორი ეპიზოდის რეჟისორი ჯეიმს კამერუნი.

ვარაუდობენ, რომ ეს ეპიზოდი გაგრძელება იქნება 1990 წელს გადაღებული „ტერმინატორი“-2 („განკითხვის დღე“).

ფილმის გამოსვლის თარიღი ჯერჯერობით უცნობია. პირველი ნაწილი 1984 წელს გამოვიდა ეკრანზე, ხოლო ჯერჯერობით უკანასკნელი მე-5 ეპიზოდი — 2015 წელს.

საოცნებო საავადმყოფო

ძალაძ სან-დიეგოს ერთ-ერთ საავადმყოფოში პატარა პაციენტები „ბე-ემ-ვეს, მერსედესის და ლამბორჯინის“ მანქანებით დასეირნობენ.

როგორც აღმოჩნდა, ბავშვები, რომლებსაც ოპერაცია უნდა ჩაუტარდეთ, საოპერაციოში ამ საბავშვო მანქანებით თავად მიდიან. ასე თამაშ-თამაშით ისინი ნაკლებად ისტრესებიან და ოპერაციის წინ აღარ ტირიან.

კალიფორნიულ საავადმყოფო „Rady“-ის ეს საბავშვო ავტომობილები ადგილობრივმა საქველმოქმედო ორგანიზაცია „Teddy Bear“-მა გადასცა.

მოამზადა
რუსუდან ქოგულიამ

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4778; ევრო - 2.9746;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3537;
100 რუბლი - 4.2802; თურქული ლირა - 0.7135;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4574;
1000 სომხური დრამი - 5.1739.

ამინდი 22 სექტემბრისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +15 დღე +34
მთიანი რაიონები - ღამე +9, დღე +34
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +18, დღე +35
მთიანი რაიონები - ღამე +14, დღე +34
თბილისი: ღამე +18, დღე +32

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge